

კაჟა ეტზისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 82

2020



მთ. რედაქტორი

მერი ბაღრიაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქარ-
თველოს მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიანს №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-889-2 (82 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, როგორც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, როგორც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაგული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გურაალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული კოეზიის რაინდის, საქართველოს გურაალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაურებატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესკანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გურაალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეშვილების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეში. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეშევი, პრეზიდისადგი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებუნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...


კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღამიწვის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ღაურიატი, ჯუმბერ ღეჟავას სახელობის მენენერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცოვად შხვვდი ყოველ ძეხას, ყოველ კაბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამიერ

(გაგრძელება)

ჭაბუღმა ვარსკვლავეთიდან ნაკარნახევი სწორად აღიქვა, იმწამსვე ადგა და გაუდგა გზას ეკლესიისკენ.

საუბარში ჩუმად ჩაერთო ნაცნობი ხმა გოგონასი:

„აღარ არსებობს შორეული დრო და მანძილი, მშობლიური მზის სიახლოვით მეწვის სხეული, ჩემს სიყვარულში და აღერსში გახვეული – ფიქრის აკვანში მიწევს,

მაგრამ ვეღარ ვაძინებ და ყოველივე ღამე „იავნანას“

ვემღერი საქართველოს“.

ჭაბუკმა პირჯვარი გადაიწერა, ნელა წამოდგა და ჩუმი ნაბიჯით ეკლესიის გასასვლელთან მივიდა.



– მიდიხარ?.,

– ცირა, დაიძახა უჩვეულო ხმით – დამენახე ძვირფასო, სომ ხედავ როგორ ვიტანჯები... თუ შენი სიტბო არ გამაყოლე, ვერ მივდივარ ფოთიდან თბილისს... თქვა და დაიწყო:

„შენ ჩემი ხარ, ქრისტე ხარ თუ მალიარი, სულ ერთია, საითკენაც გიმგზავრია.

ყველაფერი,

ყველაფერი ცხადი არის,

ყველაფერი...

ყველაფერი სიზმარია“ –

– ცირა, ნუთუ უკვე გადამიყვარე?

– რატომ გიკვირს?! – უთხრა ნაღვლიანად ხმამ. დამფრთხალ ქორივით გაფრინდა ჩვენი სიყვარული.

– არა, არა, ცირა, ასე ნუ ამბობ, რამდენი რამ გვაქვს მოსაგონი, ომის დავიწყება როგორ შეიძლება? იცი რამდენი ლექსი დავწერე ჩვენს სიყვარულზე?

– ოღონდ სოფელში დარჩენილიყავი და სულ არ გეწერა – უთხრა ხმამ და ატირდა.

– ჩემო ცირა,



„გაშმაგება და აღვირს გაწყვეტს
ჩემი სურვილი

და ღრმა სულიდან

ამოხეთქავს ხმა შადრევნებად...“

როცა მე შევწყვეტ წერას, უფრო მეტს გეტყვი. ცაზე მბრწყინავ ვარსკვლავს მოწყვეტა უნდა. ამისთვის კი ბრძოლაა საჭირო. ცირა, ოღონდ შენ ჩემს გვერდით იყავი და მე სიყვარულის დიდ გამოქვაბულში დაგმაღავ, ვინმემ ვინმემ თვალი რომ არ დაგადგას. იცოდე ჩემი ღროც მოვა... როდესაც სამშობლოს თავისუფლად ვეტყვი:

„... შენს ლაჟვარდოვან სიმაღლეში
ჩემო მამულო,

თუმც გვიან, მაგრამ მაინც

გავთენდი!“

– ამინ! ღმერთმა შეგისრულოს ოცნება, მაგრამ ჩემო კარგო, უნდა გითხრა რომ გათხოვდი!.. თქმა იყო და საუბარი აქ გაიყინა.

– ცირა, ცირა, რამდენჯერმე დაიძახა ჭაბუკმა, მაგრამ ამაოდ. შეძრწუნებული, ეკლესიის ეზოს ერთ პატარა კუთხეში მოკალათდა და



ფიქრს მიეცა: გათხოვდა... ალბათ, დათოს გაყვა?!
ეხე!

ჩემი ბრალია, როგორ დაგტოვე, უნდა წამომეყვანა, მაგრამ სად? მე თვითონ ღია ცის ქვეშ ვიმყოფებოდი.

– ჭაბუკო, მოისმა ხმა –
„კმარა!

შეჩერდი!“...

– შენს ნიჭს წინ ვერაფერი დაუდგება. გაივლის უამრავი ყველაფერი დაცხრება და ამოვა ზღვიდან ან ციდან ჩამობრძანდება ახალი ასეული ღვთის ნაბოძები, სადღაც სივრცეში მოფარფატეს ჩუმად მოგძებნის და ერთმანეთი შეგიყვარდებათ. ცხოვრება წინაა.

– აღარც ვიცი თვალებსილული ჩემს ბედისწერას საით მივყავარ!..

– დიდი შემოქმედებისკენ... იყო ხმა იღუმალის.

– პოეზიისკენ?.. ღმერთმა ქნას, მაგრამ რა ვქნა „ზღვა შემფოთდა და ნაპირთან თეთრი კენჭების კბილები დამიკრაჭუნა“.

– რატომ, რატომ? იკითხეს ვარსკვლავეთიდან.



– იმიტომ, რომ მარტოობა სულს მიხუთავს, თან შემოქმედები სიცხე იისფერი „კარვით აღჭურვა“ –

– ძლიერი უნდა იყო, რათა შეგეძლოს ხმა-მაღლა და მტკიცედ თქმა:

„ავინთო შენი მზე და სინათლე,
როგორც გზისპირას მდგარმა მოცხარმა,
რადგან შენი ვარ,
შენში ვცხოვრობ!.. შენით ვიწყებ.
მამულო ჩემო!

სანამ ცოცხალვარ,
ვითარცა ცოტნე,
შენს სიყვარულს მივეფიცხები“.

– რა ვქნა, არ მიშვებს, მეღობება წინ სიჭაბუკე. კლდეებია გასაპობი ფონს რომ გავიდე, განა მეყოფა ძალა გასაღვევად?..

„აღარ განახვნა ჩემეული ცათა კარები,
ჩემი სურვილის ციცქნა ქოხი ვერ
გადავხურე.
მაღლა დაფრენენ, დარი უდგათ ახლა
ჭილყავებს

ო, არა უშავს, ბედი მალე გაიზაფხულებს
და დამჭკნარ იმედს ის ამიყვავებს“.



ინატრა ჭაბუკმა. ეს, რამდენს უსრულდება
ნაოცნებარი. საინტერესოა გული რატომ მაძა-
ლებს სიყვარულს, მაშინ როცა ვიცი სიყვარუ-
ლით სავსე ფიალა უკვე გამივარდა ხელიდან...
აღბათ ჩემი გამოუცდელობის გამო თუ მოხდა
ეს?

„ყალყზე მდგარი და ფაფარაშლილი,
ჩემი დღეები, ველურ ჭიხვინით
გადიქროლებენ ჩემს სიცოცხლეს
ურა ცხენებად.

და... მე წკვარამში გაკლაკნილი ელვის
ბილიკი –

მარადიულ გზად მომეჩვენება“.

მოესმა ჭაბუკს გოგონას ხმა.

– ვინა ხართ?

– შენი თანაკლასელი – ნაზად იყო თქმუ-
ლი.

– თანაკლასელი?

– ჰო, ჰო, თანაკლასელი...

– ღია, შენა ხარ?

– დიახ.

– აქ საიდან გაჩნდა, როგორ მომნახე.

„დამტოვე... ცრემლის ბილიკს მოჰყევი,



ვითარცა მნათი ბნელით მოცული,
დაკარგულ კოცნას –
ულურჯესი უტირის ბაგე.
ზღვას მოუდრიკავს ცისარტყელა
ორფეოსივით,
და აწკრიალებს განშორების –
მწუხარე ჰანგებს“.

– ღია, დამენახე... სადა ხარ? თქვა და ჭაბუკი სიხარულისგან ზეზე წამოვარდა, მაგრამ უმალვე ზღვის ტალღამ ზედ გადაუარა. ჭაბუკი ზღვის სიღრმისკენ წასრიალდა, სუნთქვა შეეკრა, ვაიმე, მგონი ჩემი მზე ჩაეშვება ბინდის მორევში – გაულევა გულში და სწორედ ამ დროს იგრძნო ვიდაცის ნაზი ხელის შეხება:

„... ეს მე ვარ ჩემო,
შორეული...“

და ახლობელი“

უთხრა და ტალღამ ჭაბუკი ნაპირზე ამოაგდო.

– ზღვის ტალღებთან ჭიდილში დაღლილი წამოდგა და ზღვას პირში მიახალა:

– თუ გიყვარვარ, მაშ რატომ მახრჩობ?



– „მე სიყვარულის შიშით მოცული,
როგორც არასდროს,
როგორც არავინ,

მუხლმოდრეკილი,
ღმერთო –

ისევ შენზე ვლოცულობ...“

ამის გაგონებაზე ჭაბუკმა ხმამაღლა ასძახა:

„ჩანგი მიბოძე და მიბრძანე,

რომ მეგალობა...

და ვგალობ... ვგალობ...

ცისარტყელის მეწვის თითები.

გაქრა წარსული დასეტყვილი,

და დამეხილი.

და აი, ახლა უხილაო!

შენ გეკითხები,

ხომ არ დადგა დრო, შევისვენო, და...

შენ გიხილო“.

დროთა ვითარებაში ჭაბუკი ცხოვრებაში, სიყვარულში, პოეზიაში გაიწაფა და გაიცნო მედიკო, ნათია, აგრაფინა, შორენა, ნანო, ლელა, თეა, მარინა, ნუცა. ხშირად მათ მოსიყვარულეობით იტყოდა:



„... თუმც ძნელია ზღვის ძეობა,
და ასულობა

რადგანაც იგი

ცას და მიწას ეპოტინება

და მკლვას მე მისი სულწასულობა“.

– ჭაბუკო, სიყვარულსი ზღვას ნუ შეეჯობ-
რები, იცოდე სახიფათოა – მოესმა ხმა იღუმე-
ლი.

ჭაბუკი ნათქვამს იმედით შეეხმიანა:

„ო, არა უშავს, ბედი მაინც გაიზაფხუ-
ლებს...“

ჭაბუკმა, დროთა განმავლობაში, თავის პოე-
ზიაში ძალიან ღამაზად ააყვავილა სიყვარული
სამშობლოსი, კოლხეთის წარსულობა, ქალისა,
დედისა, მეუღლისა, მეგობრისა, და სიყვარულზე
ისე ააუღერა ჩანგი, მნათობებიც კი დაადუმა,
ხოლო ზღვამ კი ნაპირთან ჩათვლიმა.

„მიწის ბელტების დგას ღრიანცელი...

მე რწმენის საჭით ზღვა გავაპე

და ვით მენავე.

მიველ იქ სადაც შენ ციმციმებდი,

„ჟამი ჩემია, და ჟამისა მე ვარ იმედი“

და... შეწყნარებას გთხოვ უზენაესს“.



ჭაბუკო, უამი შენია და შენ უამისა ხარ, ხე-
დავ შენმა პოეზიის ხემ საგაზაფხულო კვირტები
მოისხა ერისა და სამშობლოს საკეთლიდღეოდ
– იყო მადლიერების ხმა ვარსკვლავიდან.

იმიტომ, რომ მე ასე მწამს, მე მიყვარს და
ასე აღვიქვი, თუმცა ძნელად სავალ გზას მარ-
ტოკა შევრჩი.

„ – მუხთაღმა ბედმა
ძნელად სავალ გზას
შემატოვა“ –

მიღოდა ჭაბუკი დაკლაკნილ, ეკლიან გზაზე
ოცნებით დატვირტული. ეს იყო ის გზა, რომელ-
მაც პოეზიის სულ სხვა სამყაროში მიიყვანა.

ადრე თუ გვიან ქართველი ერი ელოდა გამ-
რჯე, შრომისმოყვარე, ნიჭიერ ახალგაზრდას,
სახელად ვაჟას, რომელმაც ლექსების წერა ხუ-
თი წლის ასაკიდან დაიწყო და პოეზიაში შე-
მოდგა ფეხი თავისებური, ორიგინალური ლექსე-
ბიტ, ეპითეტებითა და მეტაფორებით – სრული-
ად განსხვავებული, კოლხური მრავალფერადი,
სურნელოვანი ყვავილებივით ეშხი და სიმშვენი-
ერე შემატა არა მარტო ქართულ, არამედ საერ-



თოდ პოეზიას. იგი გაიზარდა ოჯახში, სადაც ცხოვრების კრედი იყო:

„ავაგიზგიზოთ სიკეთის და
რწმენის კოცონი.“

დედა ასწავლიდა შვილებს ის ვინც კეთილია – თავისუფალია, თუნდაც მონა იყოს ის, ვინც ბოროტია – მონაა – თუნდაც ხელმწიფე იყოს (ნ. აგუესტი).

სწორედ ეს სიკეთე სცვივა უზომოდ მისი ლექსებიდან, – ითქვა უცხო პლანეტიდან.

ამის გაგონებაზე მთებიც ახმაურდნენ, მათ ხმამაღლა გამოსძახეს: ჩვენ გვჯერა, თუ ვაუაფშაველამ მთები გადმოხარა და ხელ-პირი დააბანინა წყალზე. კოლხი ჭაბუკი ვაუა ეგრისელი – ზღვას ფეხის წვერზე დააყენებს და ხმელეთს იქით გადაახედეს, რადგა

„თვალში ჩაცქერის მიუსაფარ
და ღამაზ სურვილს“ –

– ჭაბუკო პოეტო, სწორედ ამ ღამაზი სურვილით უნდა შეხვიდე პოეზიის ოკეანეში. შენ ხომ იცი, პოეტობა, არც თანამდებობაა, არც სპეციალობა, არც პროფესია, იგი მხოლოდ გუ-



ლია, მტკიცედ მოისმა ხმა იღუმალი, სიმინე და აღიქვა ეს?

აღქმით კარგად აღვიქვი, მაგრამ ამ ტვირთის ზიდვა ცხოვრებაში ძალზე რთულია... გაიფიქრა პოეტმა.

– ნუ გეშინია, იარე წინ და მინახე ცხოვრებაში წმინდა ადგილები გადმოსძახეს უცხო პლანეტიდან.

– წმინდა ადგილები – გაიმეორა სათუოდ პოეტმა.

– ჰო, ასეა საჭირო, ოღონდ შენც უნდა იყო წმინდა.

– ახალგაზრდა პოეტი წამსვე დაფიქრდა და მოაგონდა:

პალესტინა – წმინდა მიწად წოდებული.

იერუსალიმი – წმინდა ქალაქი.

გოლგოთა – იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი.

უფლის საფლავი – იერუსალიმშია ხომ – შეეკითხა თავის თავს.

პასუხი უმაღვე ჩაესმა – დიახ, იერუსალიმშია.

– ბეთლემი – ქრისტეს შობის ადგილი.



ბეთანია – სახლი სათნოებისა და სახლი
მორჩილებისა და სახლი დიდებისა (საბა).

„... ისეც მიყვარხარ... ბეთანია შენი

თვალებით –

შიშს და სიყვარულს ნუღარ მაძალებს,

თამარ! ღმერთქალო, იღუმალი ფიქრით

მოცულო,

შენი თვალები არის წყვილი

ლოცვის ტაძარი,

სადაც მუხლმოყრით

საქართველო –

დღესაც ლოცულობს.“

– მდინარე იორდანე – ამ მდინარეში ქრისტე
მოინათლა.

ნაზარეთი – სინას მთა – აქ ღმერთმა მო-
სეს ათი მცნება გადასცა – ქართული მართმა-
დიდებელი ეკლესია წმინდა ადგილად მიაჩნევს
ახალ ათონს, სადაც დაკრძალულია სვიმონ კა-
ნანელი.

სიონი – სადაც ინახება ნინოსეული ჯვარი
ვაზისა და თომა მოციქულის თავის ქალა.

„მე მხოლოდ ერთით ვცხოვრობ,

ამქვეყნად მხოლოდ ეს მწამს:



უფლის წყალობით მოვჭრი –
ჩემს ტანწერწეტა ლერწამს,
რომ ხმა მესმოდეს მისი მარად უკვდავი
ფესვის...

სხვა არაფერი მინდა,
სხვა არაფერი მესმის.“

– ყოჩად! ჩვენ ყველაფერი გავიგეთ, სიწმინდე დაიცავ მთელი სიცოცხლის მანძილზე. ახლა ილოცე. ახალგაზრდა პოეტმა უმაღვე დაიხოქა და დაიწყო:

„აცხონე უფალო, და შეიწყალე სულიერი
მამაი ჩემი,
მშობელნი ჩემნი...“

ბოლოს დაამთავრა სიტყვებით: „მიანიჭე მათ მშვიდობაი და სიმართლე, ადავსე იგი ყოველთა კეთილთა, რამეთუ სახიერ-ხარ და კაცთმოყვარე. ამინ!“

– კაცთმოყვარეობა მთავარია ქრისტიანისთვის, მაგრამ, ამავე დროს არ დაგავიწყდეს მეომრისთვის ომი არასდროს მთავრდება (კურაციო მაღაპარტე). შენ, მეომარი ხარ... მოისმა ზეციდან.



ამის გაგონებაზე პოეტს ჯონსონ ჰაირამის ნათქვამი მოაგონდა – ომის პირველი მსხვერპლი სიმართლეა. დე, ვიყო მე მსხვერპლი, მაგრამ ჩემს შემოქმედებაში ყოველთვის ვიტყვი სიმართლეს – დაისახა მიზნად პოეტმა. – ვნახოთ... ელივსებურად მიჰქროდნენ წლები, მაგრამ პოეტის სულში როგორც ცეცხლი სიჭაბუკისა – სიცოცხლის გამგრძელებლად მზე ნელ-ნელა ამოდოდა...

„ზის მაგიდასთან სიჩუმის სკამზე
და ულამაზეს

დღეების თვლაში –
აყოლებს ფიქრის აქატს და მარჯინს.
და გაცეზულ დედამიწას

ჩასცქერის თვალში
და ცისკენ მზირალ საუკუნეს
უსინჯავს მაჯას!

(პოეტი)

საინტერესოა, რომ გამოიწვია ახალგაზრდა პოეტში დედამიწის სიღრმისეული მზერა? ნეტავ რას აღიქვამს იგი? იქნებ ლექსთა ცვენას შეჰყურებს, მუზის მოზღვავებას, პოეზიის საიდუმლო სიღრმეში ჩაწვდომის სურვილს, ვაჟა-ფშაველა-



სავით ბუნებასთან დასმეგობრებას, ერის სევდიან სულში ჩახედვას ან აუხდენელ სიყვარულსა თუ ოცნებას?

„ჰე, მამულო!

მინდა მოვკვდე შენთვის,

შენს დარაჯად ვიდგე ერთი ბორცვი“.

პოეტის გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვებიდან. სამშობლოსადმი საოცრად დიდი სიყვარული და შორს გამიზნული მზერა ჩანს.

და ეს ყოველივე ხდება აზროვნების, ოცნების, თვალთა ხედვის და აღქმის მეშვეობით, კაცობრიობა მრავალი ათწლეულის მანძილზე უდიდეს გამოცდილებას აგროვებს, ვითარდება მეცნიერება, მედიცინა, ხელოვნება, მუსიკა, კოსმოსი და ამას ყველაფერთან ერთად თვალის მეშვეობითაც აღვიქვამთ. მაგალითად, რასაც თვალთ ვხედავთ ჩვენს გარშემო ყოველივეს, ჩვენებურად აღვიქვამთ. როცა ვხვდებით შვილს, დედ-მამის, მეგობარს, შეყვარებულს, ვეფერებით მათ თვალთაც. კარგ თუ ცუდ განწყობას გამოვხატავთ თვალთ, ემოციის გამოვლენა თავისებურად შეუძლია ყოველ ცოცხალ არსებას, მათ შორის ყვავილსაც.



„... იასამნები ჩემს დაბადებას –
ღურჯად
და ხან თეთრად ამხელენ“,
რა თქმა უნდა, ყოველივე ამას თვალით
ვხედავთ და აღვიქვამთ, ან კიდევ:
„მზე უცვებ მოჰყვა ზღვის ნანგრევებში,
ღელვის ველ-მინდვრებს
გრიგალი ნაღმავს!...“

ტატა დიოსკურელი
*ნაწყვეტი წიგნიდან – აღქმა ანუ
საოცრებათა სამყაროში*

გავრძელება შემდეგ ტომში



* * *

აღსავლიდან –
დასავლით
ცისარტყელად გაბმული,
გარწევს დღეთა ჰამაკი,
მზის შვილობას არ იშლი.
ჟამი ვერრას დაგაკლებს
ძეს ზღვისა და
ქარიშხლის.

1974

გარსკვლავთცვენა

ვარსკვლავებით დახუნძლულ
ცის ხეს ცვივა ნაყოფი,
ვით ატმის ხეს ყვავილი.
ყოფნა გულში კვლავ ივლებს
მწარე სევდას –
არყოფნის.

1986



* * *

იდუმალმა ხილვებმა,
თვალს ძალად რომ იბრმავებს
და სმენას რომ იყრუებს
სიხარული შვეს მგოსნის,
რომელიც ჭვრეტს
ზღვის ყურეს,
თოლიებით შესოსნილს.

1957



* * *

ჩემი თვალები –
 ღვთის სახლია,
ხელის გული –
 სამყაროს რუკა.
და მილიარდების სიყვარულს
 განედების სიმებით ვუკრავ.

1961



* * *

ქარავანი ქედების –
მაღლა მიიზღაზნება
და მიდიან იმ გზებით,
წიანაპრებს რომ უვლიათ.
ხევი პირდაღებული უმზერს მათა
„მუსკულებს“.
თოვლის მკვდარი სითეთრით
ირგვლივ დაფარულია,
დამის ბილიკები და
ყოფნის შავი უფსკრული.

1986



მზერა

მოემწყვდია სამყარო

თვალში –

მზერა ეცადა.

მაგრამ მაინც აოცებს:

უსამანო ზეცა და,

ვარსკვლავების ქაოსი.

1979



* * *

მწუხრის ყურსაღარებმა,
მოაგროვეს მთიები
და ცის ქვაბში მოხარშეს.
წუხილი არ იღევა.
ზღვა ღამისფერ ჩოხაში –
ზვირთებს იწყობს
ქილებად.

1963



* * *

„ვინც წარსულში გარდაიცვალა
მარადიულია“.
ლაო-ძი
დღე-ღამის ბილიკებით მიმავალი,
მითებს და ლეგენდებს
თავს აფარებს,
თუმცა უთვლავჯერ მოკლეს.
და მე მომავალში ვასაფლავებ,
წარსულში გარდაცვლილ კოლხეთს.

1964



* * *

მესთა-ტესამ გადახერხა

ცის ხე, –

ელვის ბირღაბირით

და ქარებმაც იწყეს მოსვლა.

მოყაყანე ზღვის ნაპირი –

ქაფით უცებ შეისოსნა.

1957



* * *

ღამის ფსკერიდან და სიშორიდან,
თავგანწირული მეტეორების
ვარვარა სხივი გაკრთება

კვესად.

ელვით გადახნულ ცის ლურჯ
მინდორზე –

დაღლილი მამა,

მთელი ღამე

ვარსკლავებს თესავს.

1962



* * *

ცხრა მთით გარდმოსვეწილი
ლეგენდის თუ მითოსის
ცამდე აწვდილ კოშკების
სარკმელებში ვიჭვრიტები
და მე ვხედავ მზით მოსილ
„ტევანს ჭეშმარიტების“.*

1966

* სინური მრავალთვალაი.



* * *

ნისლის თხელი პერანგი –
 ტანთ ემოსა სიცივეს.
შენ კი ჩემს მკერდს მიკრული –
მწყაზარ თვალებს ნაბავდი
და ამბობდი სიცილით:
– ჰოი,
 როგორ უხდება ზღვას
 ქარიშხლის ნაბადი!


1969



* * *

უზენაესის შიშით მოცული,
ათას სიავეს გულში
გაივლებს –
ხმა ავაზაკის...
და მასონების.
მაინც სისხლს ისხამს ყვავილები –
მადლით მოსილი ხე
სასოების.

2003



* * *

დავიწყების დანისლულ მთებიდან,
კოლხეთში მითებს და
ლეგენდებს,
ვითარცა ცხვრის ფარას მოდენი.
მედროშეკ –
შენ! –
„ოქროს საწმისის“,
რაინდო – „გრაალის ორდენის“.

1968



პანდორას ყუთი

ფიქრია,

სინათლით მოცული,

დღეს,

ღამე თეთრად რომ უთია,

და ფერი რომ დაჰკრავს სინედლის.

სამყარო –

პანდორას ყუთია,

მთვარე დევს შიგ,

ვითარც იმედი.

1961



* * *

ვით დავითმა „ფსალმუნებით“,
შენებრ გულით,
ვინ უმდერა,
კოლხეთსა და იბერიას.
თუ არა შენ,
სხვამ ვინ შეჰქმნა,
პოეზიის იმპერია!

1972



* * *

სადღაც,

ათასწლეულთა იქით,

მოხანს მწვერვალი,

ვით სამყაროს სათავე! –

იქ „კოლხური ფსალმუნები“ ეღვარებს,

ვით სამყაროს „ციურგონთა

ნადავლი“.

1998



კ ო რ ი ბ ა ნ ტ ე ბ ი

კოლხურ ღამის წყვილადში –

შვიდიათასწლეულის იქით

სანთლებს ანთებენ,

მაგრამ მაინც იქ ბნელა:

არ ჩანს რეა-კიბელა:

და არც კორიბანტები*.

1995

* კორიბანტები – დედაღვთაება რეა-კიბელას
ქურუმ-ღვთაებები.

P.S. ჰელიოსის ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის
აიეტის ნახევარ ძმები)



რ ა ტ ო მ ?!

„-მამაშენს ძროხები ჰყავს?!

წადი სოფელში და წყემსე!“

„ახლობელი“ პროფესორის რჩევა!!

დღესაც ვერ გამიგია,

რას მერჩოდნენ ოხრები!

(რად ცდილობენ წუთები,

ჭრილობა გამიმთელონ!

როცა მზეს და სიცოცხლეს მიგალობენ
შაშვები!)

რატომ სურდათ ძროხების –

მწყემსად ჩემი გაშვება,

ვით ჰერაკლეს, კითერონს!

1961

* * *

გადის ათასწლეული...

და თხოვ ცეცხლის ღვთაებას,

დიდ ზევისს ძე –

ჰეფესტოს,

ვითარცა კოლხ სარკინოზს.

რომ ერთხელ შეგარკინოს –

პოეზიის მეფესთან.

1972



ხილვა: სოლომონის ტაძარი

ხსოვნის ფოთლებს აფარებენ

ქრისტეს ნაფეხურებს –
გზები –

ბეთლემის და იერიხოს

და ჟამმა ვერ მონისლა:

ვუმზერ ზეთისხილის მთიდან

ტაძარს –

სოლომონისას.

1983



კ ო ლ ი ზ ე უ მ ი

მზისა და მთვარის დღესასწაულები,

აიეტიდებს¹,

ეჰ, რამდენჯერ უზეუმია.

აი, ამიტომ, „კოლხური ფსალმუნები“ –

ქართული სულის კოლიზეუმი².

1997

¹ აიეტიდები – ჰელიოსის (მზის ღმერთის) შვილები.

² კოლიზეუმი (იტალ.) – კოლოსალური, უზარმაზარი



* * *

თვალებს მზეს არ აცილებს,
მიტომ ათასწლეულებს
მესთა-ტეხით ჩაუვლი,
თუმც მოგდევს მაცილი*,
როგორც დავითს –
საული.

2003

* მაცილი – ავი სული.



* * *

ლოცვითა და ვედრებით,
(ძველებიც და
ახლებიც),
ვინც აუღერებთ სიმს ქართვის,
დიდ ტახტს მიეახლებით –
მადლისა და
სიმართლის.

2008



* * *

არც ბუდა ჩანს,

არც ქრისტე!

არსთგამრიგევ აქ მოსვლით,

ეს რა ცოდვა აგკიდა?!

რომ სატანის გზას მივსდევთ...

გვიხსნის –

„ბჰაგავატ-გიტა“.

1993



ხილვა: მზახვრობა გალილეს

ორი ათასწლეულის მერე,
 იუდეიდან,
 ვითარც მაცხოვარი,
მივალ გალილეს,
სამარაზე გავლით
 და...გზა აღარ ილევა..

1982



* * *

კოლხთა წარსულს კარს ვუღებ
და მე ადრე ვიძინებ:
იქნებ სიზმრად წავწყდე –
ქასქებს¹ და
კარღულებს²,
ბექირებს³ და ბიძირებს⁴.

1964

1,2,3,4 – პრეისტორიული კოლხური
(ქართველური) ტომები.



* * *

სიხარულით მოყვავილე –
ჩემი ეზო და
ჭიშკარი,
სანამ აივსება ნისლით,
მანამ სულიწმიდის ქნარი,
ღვთის მადლი და
ლოცვა მისხნის.

1969



დავით მეფსალმუნე

ორი ათასწლეულია,

ბრძოლითა და ჟამთან დავით,

ჩანგთა კლერით

მოდის დავით!

(შიმშერივით ხმა უელავს.)

და თან ახლავს

აარონი და

სამუელი.

1971



ხილვა: ნათლობა იორდანეში

მეჯილისი აქეთ ანგელოზებს...

და მზე თავზე დანათის

მიწას,

ცრემლით გაღეშიღს

ორი ათასწლეულის მერეც ვხედავ

თვალნათლივ:

იოანე,

ვით ნათლავს ქრისტეს

იორდანეში.

1964



* * *

შენ სახელს ნათლად ჩამორეკავენ
ტაძრები ზარებს,
უამს დაბინდების.
და ვით ბერები და ვით ღაღები,
შენს დიდ სიყვარულს
და შენს დიდებას –
ცად ვარსკვლავები იღაღაღებენ...

2001



მზის ჩასვლა

შეწყდა დედის გულისცემა
და საწყალი დედამიწა –
მზის გარშემო აღარ ბრუნავს:
ცა – შავს იცვამს...
და იხურავს –
შავი ღრუბლის თავსაბურავს.

1969



* * *

ზოგს აღარ ეყო ერთი სიცოცხლე
და ზოგმა კიდევ შეჰქმნა
ეპოქა.

მეტი რა ექნა, აბა მითხარით!
აღარ არიან ისიც ეყოფათ
და...
მკვდრებს აღარ განიკითხავენ.


2004



* * *

ჩასძინებია არესის ჭაღას,
და წარსულიდან მოისმის
კენესა.
დამეს ცრემლებით ევსებათ უბე.
და ცა კოლხეთის ღესავს
და ღესავს,
მომხვდურთა გულის გასაგმირად
ვარსკვლავთა შუბებს.

1992



* * *

ჯოჯოხეთში მიმავალი,
ზღვის სული რომ
არის ქარი,
– აზრია ახლო მხედველთა.
რომ რქის საყვირს მოჰგავს
მთვარე,
იერიქონის კედელთან.

1962



* * *

ჩემმა გამჩენმა დაბადებიდან
მომცა სიკეთე,
რაც რომ ებადა,
მაინც გულს დარდის ცეცხლი
მეღება:
მოდის დრო, როცა დადამდება და...
აღარასოდეს
არ გათენდება.

2007



* * *

(ვარიანტი)

მოულოდნელად ჩამოწვა ბინდი
და ვარსკვლავების შეწყდა
წკარუნი.
თითქოს აქამდე უწყვეტლივ წვიმდა.
სანაპირო კი ზღვის
ცისფერ ტალღებს –
ისწორებს, როგორც ჩახახულ წინდას.

1967



* * *

სააქაოში მარად დარჩენის,
აღარ გვიტოვებს წამით არჩევანს,
თუმცა სიცოცხლეს
თავზე ვეგვლებით.
რადგან ჩვენ ვიცით
დღიდან გაჩენის,
ცისა და მიწის ჩვენ ვართ
მძევლები.

2003



* * *

კოლხებს –

ჰელიოსის ნაშიერებს,

სამყარო დედის რძედ შერგებიათ.

და მეუფობა შეენით.

შენი ლექსები – აისბერგებია,

პოეზიის ოკეანეში მსხემი*.

2007

* მსხემი – მოხეტიალე



* * *

ეკლით კი არა,

დაფნის რტოებით,

მაღალი შუბლი მსურს

დაგიფარო,

რადგან ზღვისკარად –

კოლხეთში იშვი.

შენი თვალები არის უდაბნო –

სავსე სიცოცხლით,

მზითა და...

შიშით.



* * *

სახეზე ნისლის ჩადრს აფარებენ,
სხვა მოკრძალებით
და სულ სხვა რიდით,
და ღრუბლებს მიჰყავთ საწყალი მოვარე.
ცა – ქალწულივით წენარი
და მშვიდი,
წვიმის ხემს უსვამს –
ვარსკვლავთა ქნარებს.

1971



* * *

მამა ადგომას მზეს სულ ასწრებდა
მოსუცს პერანგი ემოსა
ჩითის,
სანამ ქამარში წაღდს გაირჭობდა,
ერთხელ მზის სხივმა
შემოყო თითი,
ჩვენი მეგრული ოდის ღრიჭოდან.
ეჰ, მამაჩემი!

1965



* * *

მთელი დღე ნარბენტ
და დამაშვრალებს,
ნაპირზე მიბმულ ნავეს
ეძინათ
სადღაც ღრუბელი ჩანდა ფანტომად.
მოვარდა ქარი და აფრები
დააფეხმძიმა,
მერე ხელი კრა და
მიატოვა.

1970



* * *

ავი სულეზი სხედან ჴკვარიამში
და დღე და ღამეს
ვეღარ არჩევენ.
სატვერებსა და დაშნებს ფერავენ.
და... ყველა მოკვდავს
სიკვდილი ჴირს –
დღიდან გაჩენის,
განკურნება კი შესძლო ვერავინ.

2001



* * *

ღელე სადღაც მიიჩქარის,
ნიავი კი ენას ვერ ძრავს.
გზა კი მიდის ოკრო-ბოკრო.
მოკლე კაბით მოჰგავს –
მუძავს,
გზისპირ მღვარი ციცქნა სოკო.

1958



* * *

მზით გასანთლული რწმენის თოკებით –
სინათლისკენ გვეწევა გრაალი
და უკვდავების მაინც
არ გვჯერა.
მოკვდავთ, ისე ვით ცოდვა და ბრაალი,
დაგვაქვს სიკვდილი –
ბოლო სასჯელად.

2007



* * *

ქარის სოპებით რომ მიაპობს
ცის ოკეანეს
მთვარე –
ჩემი პაპის – პაპაა.
ელვით დაჭრილი და დაკრუნხული,
წამოიშართა ზღვა,
ვით ურჩხული
და დაედირა მშობლიურ ცას
ჩასაყლაპავად.

1981



იოანე ხუცესი

მასთან არის ერი,
ბერი,
სიდიადე,
სიკეკლუცე,
ღმერთკაც იოანე ხუცესს –
დავით აღმაშენებელის
მზე ადგას და
გული უცემს.

1991



კურეტებს და კორიბანტებს

ათასწლეულების მიღმა,

მითებში და

ლეგენდებში –

ფიქრის თაფლის სანთელს ვანთებ.

და ვით ზევსი,

შემწედ ვუხმობ:

კურეტებს¹ და

კორიბანტებს².

1989

1,2 – (ქურუმები) – ზევსის გამზრდელები და მცველები.



* * *

რწმენის ნისლით მოსიღმა –
მამის წმიდა ხატებამ,
იქნებ საქმე იალოს.

უცხო გალაქტიკებზე –
ღღე-ნიადაგ,
ყარიბი

მიტომ დახეტიალობ.

1971



ქრისტეს ინიციაციებს

ათასწლეულების მერე,
ნალურსმანზე ვაფენ იებს
და „კოლხური ფსალმუნების“
ოქროს თასში,
როგორც არითმათიელი¹,
ისევე ვღერი ქრისტეს
ინიციაციებს².

1965

¹ იოსებ არითმათიელი, რომელმაც ქრისტეს ჭრილობიდან მომდინარე სისხლი თასში, (ბარძიმში) დააგროვა.

² ინიციაციები (ღათ.) საიდუმლოებათა შესრულება.



* * *

ქართლის დიდი წარსული კი –
ათასწლეულების კედლებს
აწყდება ზღვის ბორგვასავით.

ზოგი კაცი ზე-ჩანს ქალად.

მუზარადზე გორგასლის,

ეჰ, რამდენის მზე ჩამქრალა.

1992



* * *

ასე იყო:

თვით უფალი,

ადამის ძის ძირად,

ფესვად,

მხსნელად ქურდის მომგონს თვლიდა.

თუმც ჯვარზეცმულ

ქრისტეს კვნესა,

ისევ ისმის გოლგოთიდან.

1974



მტკვარი ზამთარში

ერთ პირს წყალიც იძინებსო! –
ამბობს ხალხი,
მაგრამ მის თვალს
ადარ ეკარება რული.
და მცხეთასთან დგება მტკვარი,
ქართულ მიწის და თბილისის
სიყვარულით,
ზეზეულად ჩამომხმარი.

1968



ისევ ქალდეა

ვარიანტი)

ჟამთა ამღრეულ ოკეანეში,
ათასლეულთა ხელით ნარწვევი,
სამყარო დიდი საქაღალდეა,
შიგ დევს ფურცლები –
ოქროდ ნაწერი
და... იქ პირველი არის
„ქალდეა“¹.

1978

¹ ქალდური (ლაზური) – ქართველურ ტომთა ძირი ენა.



ხილვა – ბაბილონი

უფლის ნახვად ასული,
ირყევიან კედლები,
ვითარც ქარში ლერწამი.
განკითხვის დღეც მოვიდა.
ისმის გლოვა,
ვედრება,
ნგრეულ ბაბილონიდან.

1978



* * *

ათა-ბაბადან ასე ყოფილა,
რადგან ცხოვრება დიდი
ომია:
რომ მიწა აღარ დარჩეს დიობად.
წარსულის ციდან –
გადმოდგომია,
ძველი ღკოლხეთი –
კაცობრიობას.

1966



პარსკვლავიანი ღამე

უეცრად მოვარდნენ ქარები
და ზეცას ღრუბლების
ყავარი ახადეს.
(ნეტავი სად იყვნენ აქამდე?!)
და ცვივა ლალი და
სპეკალი,
ბივრიტი, ოქრო და აქატი.

1992



* * *

წინაპრის თვალთაგან ნოაშუქი,
ცეცხლი რომ ციალებს
გოგირდად,
კვლავ აფრთხობს ჭინკებს
და ავსულებს...
წამით რომ გაცოცხლდეს წარსული,
ეჰ,
რამდენ სიამეს
მოგვგვრიდა.

1978



* * *

კლდეებს გამოქცეულები,
ეს პატარა ხევ-ხუვები,
გაუხდიათ მთებს მონებად.
და ლოდები არაგვისპირ,
ისე ყრია,
ბაბილონის ნანგრევები გეგონება.

1979



პოლხა 5185-5120

(„კოლხური ფსალმუნები“ – ტომი მეხუთე)

ასე იყო იდიდგანავე,
ავი უამი მტერს და
ავსულს,
ვითა წურბლებს მოგვაჯენდა...
და... სამყაროც მოგვაჩერდა,
როს კოლხეთი ამოფრინდა –
წარსულის დიდ ოგვაჯედან*.

2009

* ოგვაჯე (მეგრ.) – საბუდარი.



ბრაალის ბარძიმი

ცრემლით სავსე სამყარო –
ბობოქარი ზღვა არი...
მძვინვარ საუკუნეებს,
ვითარცა წიგნს გადაშლი
და შენ, გზაზე გოლგოთის –
ექვს ბარძიმს გრაალის,
როგორც სანთელს ანთებულს, –
რწმენის წმიდა ტაძარში.

1976



* * *

გადაიარა...

და ვარსკვლავებით,

ჩუმად ივსება ცის ლურჯი ვარცლი.

წუხან მამლები და ყივილის ყელს
იღერებენ.

ღამე კი მთვარის სავარცხლით

ვარცხნის

ღრუბლებს და..

ცვივა სხივთა ღერები.

1968



კიბელას და კოპალუს

ცა და მიწა წარსტაცეს
ლაზებსა და პელაზგებს,
ღმერთი კი ვერ მოპარეს.
კოლხი ახლაც სანთელს უნთებს –
კიბელას¹ და
კოპალეს².

1977

1,2. – ძირძველ ქართველ ტომთა ღვთაებები.



* * *

მოვლენ ანგელოზები,
გიმღერებენ „ოსანას“, –
ლოცვითა და
აჯებით.
დრო მოვა და მგოსანო,
უფლის მარჯვნივ დაჯდები

2008



* * *

ცისქვეშ ათასწლეულები,
ვით ებგური
ან ჩაფრები,
ისევ ისე ერთურთს შეცვლის...
შენი დანთებული ცეცხლი,
არასოდეს არ ჩაქრება.

2005



* * *


ჩემმა კოლხმა წინაპრებმა,
შორეულზე –
შორეული,
გზით იარა და ეხეტა.
(წუთისოფლის იყო მგზავრი).

ნახა ევბეაც და კრეტაც,
თუმც ესმოდა ხმა კერბერის¹
და ბლავილი მინოტავრის²

1968

¹ კერბერი (ბერძ.) – მიწისქვეშა სამეფოს მცველი, სამთავიანი ავი ძაღლი.

² მინოტავრი (ბერძ.) მონოსის ხარი, რომელსაც აქვს ადამიანის ტანი და ხარის თავი.



* * *

ყოფნა,

არყოფნის იდგა მორევი,

მზე შორს ეკიდა,

როგორც ტიარა.

ცა – ვარსკვლავებმა მადლა აწიეს

და ერთმა არა,

წარღვნამ ორივემ,

კოლხო! –

შენს გულზე გადაგიარა,

მაგრამ გადარჩი,

დღემდე მოხველ და...

მოაღწიე.

1978



* * *

ღამის ტოტზე ყორნებივით
ჩამომსხდარნო,
ჰე, ღრუბლებო, ასე რატომ
მებევერებით?!
ავთა სული, ვით თქვენი ღიან ლეთას*.
არ ურჩება მიწას წყლული მდინარეთა,
ცას – ვარსკვლავთა ბერბერები.

1981

* ლეთა (ბერძ.) – ჯოჯოხეთის მდინარე.



* * *

მეცხრე ცაში ბინადრობენ,
(იქ ვერავინ ველარ მივა)
ძირს არცერთი არ ჩამოვა:
აღარც ბუდა,
აღარც შივა,
არც კრიშნა და იეჰოვა.

1984



კოლხეთი – 7000

ჩემი დიდი წინაპრის –
ზღვაოსნის და
მოისრის,
დარდი გუელს სუელ მიღრღნიდა,
ახლაც უამთა სიღრმიდან –
ძველ კოლხური გალობა
და სიმღერა მოისმის...


1977



* * *

ცხოვრება ჯოჯოხეთია,
აღბათ უამთასვლამ დარაგვა,
რასაც დაგეპირდა მესია.
სიკვდილი,
სიკვდილს არა ჰგავს,
სიცოცხლე უარესია.

2001



* * *

რომ გვეკლავს სურვილი
ცაში აფრენის,
ეგ არაფერი,
მაგრამ ეს არის უბედურება:
ყოფნას,
არყოფნა შეეყვარებია.
ჩვენი დღეები, როგორც ტურები,
სიკვდილს ჩუმად რომ
ეპარებიან!!

2003



ეპიგრაფი

არც ენქილუ ჩანს,

არც გილგამეში

და აღარც მათი ბალი –

კედრების –

საუკუნენი უძღურდებიან.

კოლხთა სულების მესმის

კედრება,

სადღაც, ხმელთაზღვის კუნძულებიდან.

1986



პირველი ძრისტიანი

ის კოლხი იყო პირველი,
უფლის ნათელით
ვინც შეიმოსა.
და ახსოვს ფაზისს,
მტკვარს და ნილოსსაც,
მათ ნაპირებზე
მუხლმოყრილმა,
ვინც რომ ილოცა.

1981



* * *

დაბადებიდან –

ცნობადის ხის იჯექ

ტოტებზე,

ვით მგალობელი ჩიტი –


ჯაფარა.

ცხოვრება გიჩნდა პიტნის ფოთლად
ან დარიჩინად.

მიტომ უფაღმა თავის კალთა

გადაგაფარა

და... უკვდავებას გადაგარჩინა.



* * *

მე,
ვითარც ზღვის ნაშიერი,
ვთხზავდი მასზე წრფელ სიმღერებს,
მისი წყენა არასოდეს
არ მქონია ფიქრშიც აზრად
ახლა ზვირთთა მუშტს
მიღერებს,
ნეტავი, რამ გააბრაზა?!

1969



ორი მშერი

მოსვლის დღიდან მოყვასის ლანდს
მიესდევთ კუბოს კარამდის,
ცხარე ცრემლით მივტირით.

ადამის ძეს,

ორი მტერი ჰყავდა,

ჰყავს და ეყოლება –

სიბერე და სიკვდილი.

1998



ხილვა: სიონის მთა

ღრუბლებსა და ღრუბლებს შუა,
ჩანდა მთვარის ბოსელი,
უფერო და
შიშნაკრავი.

იქვე,

მთაზე იდგა კრავი
თეთრი შესამოსელით.

1970



* * *

ქარი ქარობას არ იშლის,
ლოდებით ავსებს ხეობებს.
ზღვას ტაბლა უდვას
ქარიშხლის
და გალემილი ზვირთები –
განთიადამდე ღრეობენ...

1976



მიქაელ მთავარანგელოზი

მოკვდავთ ჩუმად გვითვალთვალებს,
მამა-ღმერთიო ცაში რომ ზის
და გვახედებს მიტომ

ცისკენ:

მიქაელ მთავარანგელოზი –
იგივე იესო ქრისტე*.

1982

* თესლონიკელები 4:16



* * *

სმეღეთზე ბრაზით ზღვა ამოსულა,
ცა ვეღარ ირჩენს
მნათთა იარებს.
ვზივარ ნაპირზე და ველოდები.
ზღვა ფრთამოტეხილ ქარით
ორსული.
ქარიშხალს როდის იმშობიარებს.

1964



ამბობს ეკლესიასტი

მოხვალ,

წუთისოფელი,

აღუწერელ სხვა სასჯელს,

მოსვლისათვის მოგიზღვევს.

მიტომ ეკლესიასტე ამბობს:

სჯობსო ათასჯერ –

„სიკვდილის დღე,

შობის დღეს“.

1962



პელაზგები და ხეთები

ვარსკვლავების ჩირაღდნები
უჭირავთ ხელში,
რომ გაგვინათონ ღამის
წყვდიადი.

ჩვენი ეთნარქი პელაზგები და
ხეთებია.

და მთელი ღამე მათი სულები –
ჩვენს ქართულ ცაზე
ეხეტებიან.

1968



ღ რ უ ბ ლ ე ბ ი

არც ღმერთსა და არც კაცს,
აღარავის ემონებიან
შავი ღრუბლები,
ახლა ზღვიდან რომ ამოდიან,
ღრუბლები არა,
დემონებია,
და ცად ილტვიან, რომ გაშალონ
ფრთები არწივის:
ადამის მოდგმის ცოდვები რომ
მიწას აწვიმონ.

1993



* * *

წინაპრებმა დაგიბარეს:
თიბე,
თავზე მოექცეცი,
პოეზიის მაღალ ახორს*,
შენი ქვეყნის მთა და ბარი
უფრო ვრცლად რომ
დაინახო.

1962

* ახორი – ზვინი, ზვავი, ჯელგი.



* * *

გარდასულთა შფოთავს ქარი,
მისი სუნთქვა დრომ
ვერ მოსპო.
და ცაში რომ ციმციმენენ,
ვარსკვლავები კი არადა,
კვლავ აუდის მოლიცლიცე
ცეცხლის ალი,
ცად დამარხულ ანგელოზთა –
ძვლების ფოსფორს.

1978



* * *

რა ვუყოთ,
თუ შენს სიმღერებს,
ზოგჯერ ცრემლი ერია.
შენც ისე, ვით ათონსა და
სინას დაყუდებულ ბერებს,
დამ,დამით გიწერია.

2002



ასე იძნება ვაჟა ეპრიელ

(ვარიანტი)

დადგება ჟამი,

შენი გვარი და გენეზისი,

ვით მითრიდატე პონტოელის

ზღვას აყრუებდეს.

და შენი ძეგლი მთაზე ვერისის

იდგეს და კოლხეთს,

ზღაპრულ კოლხეთს

გადაჰყურებდეს.

1980



ხ ს ო შ ნ ა

ღამეულ ციდან მოვლენ წვიმები,
გამხმარი მთვარე რომ
დაარბილონ.

ბნელში იძინებს ქარის ხელით
ზღვა დარწეული.

წამს მოვა ხსოვნა და გადასწევს
ათასწლეულებს
და გამოძიენს კოლხთა მიერ
ნაგებ ბაბილონს.

1964



უფლის ნაწერი წერილი

იდუმალებით მოცული,
ქარებს ჩამოაქვთ ფიფქებად,
უფლის ნაწერი წერილი:
– ბოლოს სულ ერთად იქნებით
მიწაზე –
ჯვარდაწერილნი.

1996



* * *

ღამე ნისლებს მიაბოლებს
და ხეობებს ასდით კვამლი,
რაც რიონის ჭალებს ავალებს.
იღვიძებენ მთები ხვამლის
და სიზმრების ცვივა ხავსი.
ცას აცვია მთვარის ხამლი,
ჩუმად იკრავს ელვის თასმებს.

1971



ხალხური პოეზიის კითხვისას

„თებრონე მიდის წყალზედა“

ისმის დევთა ღრიალი და,
ეშმაკების ხმა და
როკვა.

წიგნს ჩაცქერი...

და ვით ელდას, –
ტანწერწეტა თებროს ვხედავ,
მხარზე საგსე უდგას კოკა.

1967



* * *

უნდა მოედოს მათა მწვერვალებს,
ტაიგებსა და გაშლილ
ტრამალებს,
ჩვენი საქმენი – ზღაპრულ ამბებად,
სანამდე ჩვენი შავი სამარე,
ხეთა ფესვებით დაილამბება.

2007



**ბაბილონი – ძვ. წ. აღ.
529 წლის 5-6 ოქტომბერი**

თავს სწირავდნენ მეფისთვის¹,
რადგანაც მათ იცოდნენ,
იყვნენ უამთა მღვმურები.
ბაბილონი გამოხვეტეს
ცოცხით –
განადგურების².

1963

¹ეირსი – სპარსეთის მეფე
²ესაია წინასწარმეტყველი –14:22,23. (VIII ს.ჩვ.წ.)



* * *

ისე როგორც
წინანდალში,
სურნელი სცემს
ძველ კოლხური,
ვარნას¹ ვარდებსა და იებს:
ბრაჰმანებს² და
ქაშატრიებს³,
შუდრებს⁴ და ვაიშიებს⁵.

1983

¹ ვარნა (სანსკრ.) – ძველ ინდოეთში: საერთო სახელ-
წოდება ოთხი საზოგადოებრივი ჯგუფისა: 2 3 4 5.



ხილვა: სამოთხის ხე

ბიბლიაში: ზეცას,
მთვარის –
თეთრი უჩანს საყელო.
ვვხედავ ევას მომტირალს.
იმზირება უსახელო,
სამოთხის ხის გოტიდან.

1961



* * *

შორეულ დამიდან მოსული –
დღეები მიდის და
მიცოცავს,
რასაც სილამაზე თოვს ფერებად.
ნუ დაიტრაბახებს
სიცოცხლე,
სიკვდილმა რომ იცის მოფერება.

2008



ვარსკვლავების სერობა

ღამეები, ვით ბერები,
დღის შიშით –
ერთმანეთს მისდევს...
ბნელში ჭედს ვიღაცა ლურსმნებს.
შუაში ზის მთვარე,
ვით ქრისტე,
და ვარსკვლავი სერობას უსმენს.

1964



* * *

საქართველოს ციო გადახურული –
ლექსია შენი

სახლი და ფუძე,

ზედ გაკრულია სიტყვა აბრებად.

სიცოცხლე რაა,

რომ მოკვდე უხებ,

ვიცი,

სიკვდილიც დაეხარბებათ!!

2008



ვარხვების გაღაფრენა

გადაუფრინეს ტბას პალიასტომის,
მიწყდა ყაყანი
დამფროთხალ ვარხვების.
მშიერ თვალებით ზღვა იმზირება.
ქარები ღამის ტოტებს
არხევენ,
და წყალში ცვივა ვარსკვლავები
მზესუმზირებად.

2004



ბაბილონის ბოდოლი

უფლის ნახვა სურთ და...
ბაბილონის –
ცამდე აღმართულ გოდოლს
აგებენ –
და კოლხური ისმის ჰანგები.
მოფრინდებიან ჩემთან
ფიქრთა ფარშევანგები
და აიეტის დიდ წარსულში
გამიტყუებენ.

1972



* * *

ცნობადის ხეთა ფესვები –
ძირიან ამოგითხარეს,
„მოკეთეც“ –
ახლა ორგულობს!!
რით გაგაცოცხლო მითხარი,
კოლხეთო! –
წარსულ მოკლულო!!

1963



* * *

მეტეორების გამოქროლება,

მშიშარ სივრცეებს ისევ

აშინებს.

და დედამიწა ღამეებით ისევ

ივსება...

ცა არხეინად მიწას დაჰყურებს,

ყოფნა,

არყოფნის ქუსლით

როდის გაისრისება.



* * *

საქართველო –

ჯვარს გაკრული არის იესო
და მის კვართს ჩუმად ინაწილებენ,
ხმის გამცემი კი არჩანს არავინ.
და ჩვენი „ძმები“,

ჩვენ – ძირ ქართველებს,
დიდ ისტორიას ჩუმად გეპარავენ
და მასთან ერთად წარსულს
გვართმევენ.

1964



ხ ე ე ბ ი

მწვანე სინათლეს აშრიალევენ,
მზით და სიცოცხლით
თვალი ევსებათ,
დედამიწაზე მაინც ვერ ძლებენ:
ქვესკნელს ჩადიან ხეთა – ფესვები,
კენწეროები –
ცას დაეძებენ.

2001



* * *

არესისა და პარას ჭალაში,
ოქროს ბღავილი არ იხმის
ვერისის.

მშობლიურ ცაზე მთვარეც მიმქრალა.
ღმერთო! –

მიმყოფე სამშობლოს ბედზე,
ყველა ქართველი გულმტკივანი
და მოფიქრალი.

1989



* * *

წამიო რაა,
ისიც შუაზე გამიყო,
წუთისოფელს თუმცა დიიდხანს
ელაგე,
მაგრამ ეხლა თუ შენი ხმა ისმინა,
ვარსკვლავები ჩაამტვრევენ
ცის მინას
და მოწყალე თვალით ჩამოგხედავენ.

1997



* * *

კუბობია –
 ღამეები,
 ღღეები გულის ბოგინია...
ზეცა –
 სარკმელია გაღებული.
ცხოვრება –
 პატარა ბოგირია,
სიკვდილ-სიცოცხლეს შუა –
 გაღებული.

1992



რეა-კიბელა

(100 წლის პოეტ მარია ბარათაშვილს)

გაილია წვეთ-წვეთად
ეს ერთი ასწლეული
და მეორეს მიბელავ –
ცისკენ თავაწეული –
ქართველთ რეა-კიბელა*.

2008


* რეა-კიბელა-პელაზგურ-კოლხური დედამთავრა.



* * *

მზის ბაჯაღლო ტახტი უდვას
და ისვენებს ღამით მამა,
ანგელოზთა არ სდევს იჭეებს.
ცა ხშირ-ხშირად სტყორცნის
ელვის წითელ ქამანდს,
მაგრამ ქუხილს ვეღარ იჭერს.

1986



შ ო შ ი ე ბ ი

გადაუფრინეს სოფლის სიმშვიდეს,
მოსდევთ შიმშილი თუ
მოშიება.

და გზისპირ რომ იდგნენ ნაძვები,
შემოესიენ მათ შოშიები
და წამსვე ჩააცვეს ძაძვები.

1974



* * *

ნაფეხურები მზის რომ წაშალონ,
ციდან ჩამოაქეთ ღრუბლებს
ბინდები.

ყრია ლოდები, როგორც კუტები.
ქარიშხლის ხმაზე ზღვა
ბუდიდან ამიფრინდა,
ლოდს მიასკდება და ნაპირზე
სულს განუტყეებს.

1969



ჭინჭილა და ყარყარა

(ხუმრობით)

ჩემს ოდიშში დადიანს,
კახეთში კი ჭილაძეს,
იცით, რა დღე აყარა:
ჯიხვის ყანწმა კი არა,
ჭინჭილამ და
ყარყარამ.

1976



* * *

ქარები, ვითა ძიძები,
ზღვების ლურჯ აკვნებს
არწევენ,
და ელვებით ჰყავთ გათასმული.
სამყარო –
ვარსკვლავები ნაწერი
ცისა და მიწის უდაშია
ჩასმული.

1970



**დედა თავის ბავშვის
საზღაპრთან**

თვალცრემლიან ცას –
დასაველით,
მზე კალთაში ჩუმად უწევს.
სამარესთან ჩამომჯდარი,
ისე მოჩანს ბავშვის დედა,
თითქოს ლოდის აკვანს ურწევს...

1973



* * *

მშობლიურ ცის სილაქვარდეს,
მიწისქვეშეთიდან ვუმზერ,
ხმები მესმის: გეყო,
აღე!
არ იციან მათ, რომ გულზე,
ლოდი არა,
ღარდი მადევს.

1981



* * *

ღამეს მთოვარე თევზის ფხასავით,
ვით წინათ,
ყელში არ ეჩხირება.
ვარსკვლავთა აღარ ისმის არია.
ცა რომ პირს იხოკს
ელვის ფრჩხილებით,
ნეტავ ვიცოდე,
რამ გოადარია?!

1982



* * *

თავს დაჰკიდონენ ალბატროსები
და ქარიშხალი
პირ-გამეხებით,
სანამდის ბნელა კვლავ მოუვლიდა:
მიასიკვდილა ზღვამ მფრინავი
ზვირთთა ვეფხვები,
ამოიფერთხა ჯავრი გულიდან.

1984



ახსახეთი – 1992

ვითარცა ქორმა კრუს-წიწილს,
ისე ჩვენ მტკვერი გვადინა:

ოსმა,

სომეხმა...

ავსუამ –

იქ თესა, სად არ დაუხნავს.

და...

დარი უღვას შადიმანს,

კონსტანტინეს და

დაუდხანს!!

1992



პელაზგებს და ქალდეველებს

ნილოსიდან –
ფაზისამდე,
ოქროსფერი ადევთ ველებს,
და მეფობს დიდი ხელმწიფის
აიეტის – პაპის – პაპა.
და პონტოს ზღვა
ურწევს აკვანს,
პელაზგებს და ქალდეველებს.

1966



* * *

კვლავ ქათქათებენ ღრუბლების მთები,
ზე გადახრილი დგას
მთვარის სვეტი
და ბრწყინავს მნათთა თითები თლილი.
მზე მოჰყავთ მამლებს
ყივილის ეტლით,
და ღამეს სული უჭირავს
კბილით.

1981



* * *

კლავდენ და გულში მახვილს
უყრიდნენ,
ადარ ინდობდა ბედი – მურტალი,
მაგრამ სიკვდილი არ მიკარა:
საქართველოს ცა იღვა
ზღვისკარად,
კოლხური მთვარის ნაჩუქურთმალი.

1974



შურდული და ოქროს ქნარი

უამთა ტყეში მწევარებით,
ათასწლეულები ყფვენ...
ცისქვეშეთში დარობს დარი.
მელანდება დავით მეფის:
შურდული¹ და ოქროს ქნარი².

1964

1,2 – შურდულით დავითმა გოლიათი განგმირა,
ხოლო ქნარის პანგებში „ფსალმუნები“ შექმნა.



მ ა ნ დ ა ლ ა

სიკვდილს კი არა,
მქროლავ დრო და უამს,
მიაქვს სიცოცხლე როგორც
ნადავლი.
სადღაც ჭრიალებს მზის და მთვარის
ცისფერი ღერძი.
და ჩემი სული იმ შავ მანდალით* –
სხვა სამყაროში –
გასასვლელს ეძებს.

1982



ვაი, ნანა!

არც ხვიჩა ჩანს
და არც გოჩა
და არც პაატა სააკაძე,
სამშობლოსთვის
ვინც სიცოცხლე,
წამით აღარ დაინანა.
და ჰუნეთა ფლოკეთა ხმაში
ისევ მესმის,
ცრემლნარევი: „ვაი, ნანა!“

1987



უმოდგომა ნოსტეში

სააკაძის ნოსტეში ვარ,
მელანდება დიდი ბაკა*,
ქარს ღრუბლები დააქვს შავად.
ვიღაც რომ სცემს ჯოხით კაკალს,
ნეტავი რა დააშავა?!

1994

* ბაკა ხერხეულიძე – რომელმაც გიორგი
სააკაძე სიკვდილს გადაარჩინა.



ბრმა ჯონით

აკაკუნებს ჯოსს მიწაზე,
რუსთაველის პროსპექტზე თუ,
ხეობაში თეძმის.

და კაკუნით –
იქ დამალულს,
თითქოს სიკვდილს ეძებს.

1978



✽

* * *

პოეტო,
შენი სული,
ბინადარი ცის ერდოს,
იქ – მამადმერთთან მივა.
ვითარც მივიდა ერთდროს:
ბუდას,
ქრისტეს და შივას.

1998



საინგილოს, ქსანს და ხერთვისს

ურჯულონი რჯულს გვართმევენ:

საინგილოს,

ქსანს და ხერთვისს.

რწმენას გვიყენებენ ყირა

და მათ ავიწყდებათ ხშირად,

უთვალთვალეობთ ციდან ღმერთი.

1992



* * *

სახეშეშლილი,
ტიტველ-შიშველი,
მიედინება ღამე მტკვარივით.
დაეკიოდება ალბათ მალე სივრცეს
მზის ფარი.
ცამ სარცხვენელზე ახალი მთვარე
ღელვის ფოთოლივით აიფარა.

1977



ხილვა: 33 მილიონი ქართველი

მომხდურთან ბრძოლით
ბროლივით დამსხვრეულებს,
მოვა დრო,
უფალი გაამრთელებს,
მთავარია რწმენა არ დაილიოს.
რა დღეს და რა ხვალ,
ჩვენ ვიხილათ ქართველებს,
ცამეტს კი არა,
ოცდაცამეტ მილიონს.
ამინ!

1992



* * *

გამთენიისას, როცა მყინვარმა,
შორ ვარსულიდან
გადმოფრენილი –
ნისლის ქათქათა აფრა აუშვა,
ანანურთან ხმა მესმა
ციხეთა:

„დახვდი!“

„დაჰკარი!“

და „არ გაუშვა“

1964



* * *

ცად განსახლებულ პლანეტებს,
და ვარსკვლავების ზვრებს,
მიწის სურნელი უდის.
მგოსნის სულია – მზე,
გალაქტიკებში რომ ბუდობს.

1968



* * *

ოცდაათობმეტი საუკუნეა,
ეკქსინის პონტო –
მედეაზე არის მგლოვარი.
ირგვლივ ყოველი დავიწყების
მტკვერმა დაფარა.
მხოლოდ შენ გახსოვს აიეტის ხმა
უხსოვარი.

1968



* * *

ვითარც სახე სიკეთის,
მოჩანს მთვარე სნეული.
და ჩემს თვალთა მზერაში,
ღამაზ ბუდეს იკეთებს:
ცეცხლი კოსმიური და
მზის სევდა შორეული.

2004



* * *

ვაჟას ფშავის ბუნება,
მართლაც საარაკოა,
ღვთის ხელით დაწერილი.
ჟინვალთან კი ვაკეა,
აქეთ-იქით მთებია,
ჰეროდოტეს წვერივით.

1976



* * *

აგვისტოა,
მზე წამით სიცხეს
აღარ ანელებს,
მზე მზეობას არ იშლის,
დღემ რომ თბილისს ასტუმრა.
პანთეონში დიდების –
ცისკენ თვალმიპყრობილი
წევს ტერენტი გრანელი
და უღვია სასთუმლად
ქვის პატარა ბალიში.

1996



* * *

კოსმიური ჩემი ფიქრი,
ისევ ისე ვიმეორებ,
ხსოვნის ყვითელ ალამს კიდებს:
ვარსკვლავებს და
მეტეორებს,
პლანეტებს და გალაქტიკებს.

2006



* * *

ისტორიის დიდ მინდორზე
ახლა,
ათასწლეულების მერე,
ერთმანეთთან ბრძოლით გართულს,
ვხედავ: კოლხებს,
დაიანებს¹,
მიდიელებს² და სასპერებს³.

1970

1,2,3 – ქართველური ტომები



* * *

მზე ჩადის და ზღვისკარად, –
სხივთა რილო – ჭრილოა.
ცა და მიწა კოლხეთის –
(სად მითები დაგოგავს)
ფერწერული ტილოა,
სეზანის და ვან გოგის.

1991



* * *

თენდება!

მაგრამ წამითაც,

ქათქათა ღროუბლის ლოგინში,

მთემარე ვერ მორჩა კოტრიალს.

შესევინა და ღამის ცას,

ვარსკვლავები კვლავ

კორტნიან....

1979



* * *

(ვარიანტი)

მეხის ძახილზე დაიმსხვრევა

ცის თეთრი მინა,

შეკრთება მთვარე,

ვითარცა მწირი.

და ჟამს ცისკრისას,

ჩემს კოლხეთში რომ

მოვა წვიმა,

ასე მგონია: დაბრუნდა და

მედეა ტირის.

1968



* * *

ოეავი ექვისს...

ოცდაექვისს...

დღეს ხარ სამოცის...

არ იცი საით წავიდნენ წლები.

ყოველ დღის ბოლოს,


ახლაც დამის კუბოში წვები,

ხოლო დილით კი,

მზის ამოსვლა ისევ

გვაოცებს.

2001



* * *

მთათა პიტალო ქვას გახეთქავდა –
მათი ოხვრა და

ცემა გულების.

შიშვლებს რა ჰქონდათ დასამალავი.

და...

ასე იყვნენ ერთმანეთში

ჩაკარგულები,

სანამ განთიადს იყივლებდა ცაში

მამალი.

1971



* * *

დღეები მუდამ ბნელს გვარიდებენ,
ღამეები კი სიკვდილს
გვანგვევენ.
ცას მიჭედინი, როგორც ლურსმნები,
ეს ვარსკვლავები –
დღიდან გაჩენის,
რომ დუმან,
ნეტავ, ვინღას უსმენენ?!

1989



* * *

შორით რომ ისმის –

წინაპართა არის ჰანგები:

ცრემლის,

ტკივილის და

მღელვარების.

ჩემი კოლხეთი – ოქროს ჩანგია,

ზედ გადაჭიმული –

ათასწლეულების ღარებით.

1969



* * *

იმ პლანეტებზე –
სხვას არავის არ გაუვლია.
არვინ ყოფილა მზის
სიშორით
ასე სნეული.
მთვარე კი არა,
შენი სულია,
ვულკანად ცაში ამოფრქვეული
და ქვადქცეული.


2008



თ ო რ უ ბ ი

მომხვედურმა ქართლი დალეწა
იწვის თოთხამი,
აღეწი;
ირგვლივ დგას სისხლის მორევი.
ყრია ხმლები და თორები.
ფართა ჟრიალი მოისმის
მიმწვართან –
თურმან თორელის.

2008



* * *

ღამით მთვარე მიმიძლოდა,
და ღღისით კი მზეს
მიყვავდი –
შენთან –
ჩემო,
მე უძილო!!
ისე მაგრად შემიყვარდი,
ღამისაა შეგიძულო.

1968



* * *

მზესავით დიდი და ჩაუქრალი,
გულში არყოფნის უნთია
ცეცხლი.

გარეთ კი ღამის წყვილადი აკრავს –
პატარა ბუდეს –

ღურჭულა მერცხლის,
რომელიც ვეღარ დაუბრუნდა –
მშობლიურ სახლ-კარს.

1963



* * *

ათას ჭირ-ვარამ გადანაყარი
მოვა და თავზე ხელის ალებით,
როს ქარიშხალი სივრცეს
შებინდავს,
მაშინ ამოვლენ ზღვიდან ტალღები,
როგორც დღეები,
შავითმოსილ ღამეებიდან.


1986



ბ უ ლ ჯ ი თ ე ლ ე ბ ი

არსაიდან მოსულები –
დასტრიალებთ სათეს-სახნავს
და დაკოდილ სულს მიმთელებთ
როცა მოჭიკჭიკეს გნახავთ –
ჩემს საყვარელ –
გულწითაელებს.

1967



* * *

მზით გათანგულებს თეთრი დღეები
ტანზე გვაშრება
ვითარცა ოფლი.

გვინდა,

არგვინდა, მოვა დაისი.

იქნებ გაუსხლტეთ ხელიდან

ყოფნას,

არყოფნისგან კი თავს ვერ დავიხსნით.

2005



* * *

(ვარიანტი)

როს გაიგებს მამლის ყივილს,
უამს ცისკრისას,
გამთენია.
ღამეს სურს რომ გაიხიზნოს.
ვარსკვლავებსაც
ჩათვლემიათ,
ერთადერთი მთვარე ფხიზლობს.

1962



* * *

გადმოიარეს მთები და,
ზღვის ღურჯი იალაღები,
მათი ყიჟინა უვლის ცას!
ველური ტომი –
ტაღლების,
ასე, რომ გააგულისა?!

1997



* * *

ფიქრში ვხედავ:

ყავრით გადახურულ ოდას
და მის ღამაზ აბარწაში
კველაზე ზის ციცქნა ბიჭი
და ეზოს წინ –
დამბის გასწვრივ,
მიმოფანტულს უსმენს ჭრიჭინს.

1980



* * *

ელვის თოკებით ერთად შეკრული,
ქარიშხლებს მიაქვთ
ღრუბლების ნამი.
და შორით რომ ჩანს ქვესკნელში ღამის,
მთვარე კი არა,
აღბათ გახლავთ ნავი –
ქარონის,
მას გარდაცვლილი ვარსკვლავთა სული,
შორს მიჰყავს სადღაც,
უსახლკარონი.

1962



* * *

რომ ცბიერია წუთისოფელი,
ჩვენ კარგად ვიცით,
არვართ ბრიყვები,
მაგრამ ჯობია ახლოდან ნახოთ,
რადგან სიცოცხლე
ჩუმად მიჰყვება –
მღვრიე დღეების
ნამჯას და ნახორს.

2003



* * *

მზეო და მთვარეუ!
და ვარსკვლავებო!
უსასრულობად გაშლილო ცაო,
ზოგჯერ ტიალო!
თუკი გადამცემთ აქ არ ყოფნის
ქარსა და ქაოსს,
ცივ სივრცეებში მარად უნდა
ვიხეტიალო...

2001



* * *

ერთი არა,
ასიც იყოს!
(თუნდაც ავსულს ერთად ეშვას.)
შენ დათრგუნავ ასპიტებს და
ვასილიკოს,
დევს და მაცილს, ლომს და ვეშაპს.

2000



ნოჯიხევის საყდარი

აქ წამიერ ზმანებებში,
უცებ ღვება ბორჯი მსხვრევის,
არც მაცი ჩანს
და არც ეკა.
და საყდარი ნოჯიხევის –
მწარე წარსულს ჩამორეკავს.

1983



ქარიშხალი ღამით

გამოდოდა ზეციდან შუქი,
აბა, რა არის აქ საკვირველი,
რომელსაც ახლა ყასიდად
ვარკვევ:
რომ, ვით დამფრთხალი ღამის
ფრინველი,
გზააბნეული ქარიშხალი
მოაწყდა სარკმელს.

1972



ქრისტეს ბავშვობა

ჩემი მშობელი –

პონტო ევქსინის,

ხელს რომ აღმართავს

ცისკენ ხშირ-ხშირად,

ახსოვს მას უამი უძვირფასესი:

(ქალწულისაგან ძე – ღვთისნაშობი)

როცა ჰყვაოდა ქრისტეს ბავშვობა

სანაპიროზე

ღურჯი ფახისის.

1964



* * *

მარადიულ იმ სოფლიდან,
წამისმსწრობელ –
ამა სოფლად,
წინაპართა ნათელ ხსოვნად –
მოდის წვიმა.
და მე ვფიქრობ: დავიწყების ბინდში
ყოფნა,
ნუთუ მათ არ მოეწყინათ?!

1992



* * *

კოლხური ცისქვეშ ღამენათევი
ზღვა სიხუმესთან
შეურიგალი,
როს ნისლის პერანგს ტანზე იხევედა,
უცებ მოვარდა შავი გრიგალი
და ჭუჭყიანი ტალღების მთა
ბნელში მიხვეტა.

2001



* * *

ვალვენთებლი ცრემლთა სანთლებს,
და აწ იქნებ ვეღარ მნახო,
შენს თვალებში –
ღვთის მოსავად
რომ მიყვარხარ,
მით ვარ ახლო,
თუ იმიტომ რომ შორსა ვარ.

1989



* * *

გაიელვებს წამს წარსული
და ნავიდან საჭეს ვისვრი,
მიფუჭდება კაცს გუნება –
როცა ვხედავ: ვითარც ქალწულს
საჭურისი,
ზღვა ნაპირს ებღლარძუნება.

1978



* * *

მამა ღმერთი,
როგორც იობს,
ბედისწერა ბევრჯერ
გცდილა,
დრომ ვერო დაჰკრა ბინდი იერს –
კაცს,
ფიფქივით მოსულს ციდან,
ცრემლზე სუფთას,
სინდისიერს.

2004



აპრილის მზე

ხის ტოტებზე დამჯდარა, და
კვირტებიდან ჩეკავს
ფოთლებს
ასე მოჩანს დღე – აპრილის.
ტყისპირ ღელე
როკაპივით
ცოფებს ყრის და მიქოთქოთებს.

1978



მთვარის არსი

უსამანო...

და პირთამდე –

მზით და ვარსკვლავებით

სავსე

ცის სიღურჯე ჩვენ რომ შევსვით.

ის არ იყო მთვარის თასი,

თავის ქალა გახლდათ ზევსის.

1961



* * *

რადგან წუთისოფლის ქვაბში,
უამი უღვთოდ გვაგვარგვალეbs*,
მით ცხოვრება მოჩანს ხურმად,
როს სიცოცხლის გავალ გარეთ,
საუკუნის კარსაც ჩუმად
გავიხურავ.

2008

* გვარგვალი (მეგრ.) მაგრად დუღილი.



მსააკები

ეტყობა რომ აღარ ჭრის
გაზაფხულის სიმწვანე,
ტყის ფერი და ასაკი,
თორემ ამდენ „კვა-კვასი“,
ვინღა მისცა უფლება,
თვალჭყეპტია ვასაკებს.

1977



* * *

შორს რომ მოჩანს დარჩელია
და ახლოს კი ხეთაა და
ხამისკური,
ნოჯიხევი და შემდეგ კი ბია.
ღამეა და...
ღამეს ისევ დარჩენია –
ვარსკვლავებით მოჭყდილი
მთვარის კარი ღია.

1969



* * *

ზმანებებით კი არადა,
პონტოს ზვირთში ნათლად ვხედავ –
ფარ-შუბოსან ამაძონებს.
და ჩემს მოხუც მამას –
მთვარეს,
ვარსკვლავთ ფარას რომ აძოვებს.

1962



* * *

უცებ მოვარდნილი ქარი,
მშვიდად მძინარ სანაპიროს –
დააცხრება როს კვილით,
და... მაშინ ზღვა –
როსკიპივით,
ველარ ისვენებს და ანჩხლობს.

2003



* * *

გადაუვლიათ ათასწლეულებს...

მათი მზე მაინც აღარ

ბრწყინდება:

იქ ამირანტთან,

ბრილს და არხილოს.

წინაარებს ჩვენსას ბნელში ძილი

აღარ წყინდებათ

და არც სურთ თვალი სინათლეში

რომ გაახილონ.

1992



* * *

შორი სიხუმით შემობურვილი,
ზოგჯერ რომ გვაკრობს
ელვის ძახილით
და ფეხზე მდგარი ღამეს რომ ათევეს –
ცაა – ბოსელი,
ვარსკვლავები არის ნახირი,
დიღამდე რომ ბღაეიან ნათელს.



კაცი – ლეგენდა

მზის ბილიკებით –
შორეული გზიდან მოსული,
კოლხთა წარსული შემოგეკედლა,
რომელსაც უამი კვლავ ატრიალებს,
მაგრამ შენა ხარ კაცი –
ლეგენდა,
კოლხოსის* ძე... და მემბტიანე.

1965

* კოლხოსი – ჰელიოსის ძმის – ფაზისის – ძე
კოლხთა მამამთავარი, (ეპონიმი.)



ბუნების ენა

პროფესორებს, მამა-შვილ
მამანტი და ცირა ძაძაძიებს.

არც ლათინური

და არც ბერძნული...

უნდა ვიტანჯოთ, როგორც
იობმა.

პირველ საწყისთან არ დაბრუნებით.

უნდა იცოდეს კაცობრიობამ –
პირველი ენა იყო ბუნების.

2007



რეა-კიბელუს ქურუმები

ღმერთკაც ჰეფესტოს ცეცხლის ქურაში,
ხალიბთა მიერ ნაჭედ
ცულებით;

შორი წარსული გადამიბელეს.

და...

პონტოს პირას, რომ ლოცულობენ –

ქურუმებია –

რეა-კიბელეს*!

1986

* რეა-კიბელე – ყველა ქალღმერთთა დედაღვთაება.



* * *

ვაჟას მაღალ ქედებიდან,
არაგვი კი ისე მოჩანს,
ვითარცა გზა საურმე,
მაღლე მოვა ზამთარი და
მთებს ჭადარას
გაურევს.

1986



* * *

ვთქვათ და ოდესმე ჩვენ კოლხ
წინაპრებს,
მძინართ მითებში და ლეგენდებში,
ჩვენს დაძახილზე
გაელვიებათ,
და თვალს მოგვკრავენ
იმ სიშორიდან,
თუ ჩაგვთვლიან ნეტავ
ღვიძლებად.

1988



ეს მთეზი

მზის ნაშიერებს* ესე ქვეყანა,
სამეუფოდ ახლაც ერგებათ!
ქართულ ცისქვეშ რომ ღამეს
ათევენ –
ეს მთეზი ალბათ არის ძეგლები
კოლხთ წინაპარი
გოლიათების.

1971

* მზის ნაშიერები – იგულისხმება „აიეტიდები“ –
ჰელიოსის შთამომავალი



* * *

გაფანტულან წლები ჭავლად,
 (აღბათ სიკვდილს ეჩვევიან!!)
 უშენობა სულს მიმჭვალავს)
ისევ გიხმობ შენ,
 ჩემიანს.
ჩვენი თბილი ნაფეხური პარას
 ჭაღას,
ნუთუ აღარ შერჩენია?

1964



* * *

ფეხშიშველი ელვა ისევ –
დრუბელ-დრუბელ დაწანწალებს.
და ისრება მზე –
დასავლით.
მამაჩემი დგამს ანწაღას
ტყისპირ,
პირამიდასავით.

1986



უკმა რისობა

ღმერთად მიგანნდა სიტყვა ქართული
და პოეზიის იყავ მხევალი.
სათქმელი!!

აუ! გქონდა რამდენი,
მაგრამ ვერა თქვი მის ნახევარიც.
გაფრინდა უამი,
ვით შევარდენი;
აღბათ, სულს,
მალე,
მოგთხოვს მევალე.

1989




* * *

ვით ბერდელა,
წუთისოფელს,
დღეთა თითისტარზე ართავ.
აღარ რჩები სიკვდილს ვალში,
ეს ცხოვრება გიჩანს
ღართად.*
სადაც გინდა –
ჩრდილქვეშ გაშლი.

1986

* ღართი – ნაბადი.



საწუთრო

ყველას ერთ ქვაბში ხარშავს

საწუთრო,

დიდს,

გინდაც მცირე იყოს კერტივით.

რადგან სიკვდილი არის თავხელი:

ვინც წაიყვანა,

დიღეგში ჰყავს გამოკეტილი

და არცერთს აქეთ აღარ ახედებს.

1999



* * *

შესციცინებენ ქართველის ცას ქედები,
მწვერვალებს მოსწეინდათ
ღრუბლების ამბორი
და ნისლის ფარდები ჩამოსხნეს
დარაბებს.

ფშავ-ხევსურეთის მთებია –
ამფორა,
პირთამდე სავსე შავ-თეთრი
არაკვით.

1998



* * *

ფიქრი,
ათასწლეულების,
მიძინებულ ღრუბლებს აშლის,
მერე გრძნეულ ღამეს მირბევს.
და ჰკიდია მთვარე ცაში,
ვით კოლხური ტყავი კვირბის*.

1986

* კვირბი – იგულისხმება ოქროს საწმისი.



* * *

ქარიშხალთან ბრძოლით დაღლილს,
ჩამოძენდილს, ვით გლახას,
ღამეს აღარ მიეკარა რული
და...

დილით კი,
გაშხლართული როცა მნახა,
ზღვას,
მაშინვე წაუვიდა გული.

1999



* * *

უსაზღვროების ღამის წყვლიადში,
ყრია ვარსკვლავთა ოქროს
მადანი.
ცას ცისარტყელის შვენის ნაწნავი.
და დღე ყოველი მზის
ჩირადღანით,
არყოფნისაკენ გზას მიგვასწავლის.

1998



* * *

რადაქნას,
მზეს რომ თვალს ვერ
უსწორებს,
ბრინჯივით აბნევს შეხვედრა დილის,
რადგან სიკვდილზე
ფიქრი აწვალებს,
წელში მოხრილი დღეს მისი ჩრდილი
დედამიწაზე კვლავ დაწანწალებს.

1988



ქართული ზღაპრების კითხვისას

ზღაპრიდან დევთა ისმის ღრიალი,
ო, ალბათ კაცის ხორცი
მოშივდათ.

(ნაცარქექიამ დრო ვერ იხელთა).

და ცად აღმართულ
ღამის კოშკიდან –
მთვარის თეთრ სარკმელს
გაადებს ელვა
და ვითარც ბაყბაყ დევის ასული,
დედამიწაზე ჩამოიხედავს.

1986



ღრო - ქურღი

ღრო – მარადის უჩინო,
ბოლთასა სცემს ზღვისკარად
და დილიდან –
მწუხრამდე,
თავს გვახურავს ცის კარავს.
და მზის ყოველ ჩასვლისას,
ჩვენს თეთრ დღეებს
იპარავს.

1988



* * *

დღის გათენება გვიხარია,
რადგან გვაღიწყებს
ზოგჯერ სიავეს.
ყველა კარგები იქ არიან.
და ჩვენ გვგონია
ქროლა ნიავის,
ცხოვრება, თურმე პირქარია!

1997



**კოლხური-ოქრომრავალი
ქვეყანა**

ოქროს ქვეყნის ნაშიერს –
გმოსავს ოქროს სამოსი,
გესმის ოქროს ყიუინა
პონტოს ზვირთთა მაყარის.
ცხოვრობ გზა-გასაყარზე,
„მზის ჩასვლის¹“ და
ამოსვლის²“.

1969

¹„მზის ჩასვლა“ (სემიტ.) – ევროპა

²„მზის ამოსვლა (ემიტ.) აზია



* * *

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
არამედ სულ სხვა“.
ტვრანელი

მარადისობის ძეგლად დამდგარი,
ბრინჯაო არა,
შენა ხარ თიხა,
უსპეტაკესი ვითარცა ფიფქი.
და დღენიადაგ უამივით
მიხვალ –
სიცოცხლესა სიკვდილის იქით...

2001



* * *

სხვა რწმენით და იმედით,
შემოგყურებს ეპოქა,
რადგან დემონს
არ ყვარობ.
მალე აღარ გეყოფა –
სათარეშოდ სამყარო.

1959



* * *

ვითარცა დანტე ალიგიერმა –
განაღიდა გზა ჯოჯოხეთის,
ისე მე ჩემი წარსული ვაქე.
წყვდიადიდან ხმა მესმის კოლხეთის,
ის, გზას შორეულს
ვერ აგნებს აქეთ.

1964



* * *

სობის წყლის პირას
ჩამომდგარ ღამეს,
მთვარე ახურავს,
ვით ქუდი ჭილის.
და ესხურება სიცოცხლედ წამი –
ღორის კუდივით პატარა
ბილიკს.

1974



* * *

მწუხრია და ცის ფერებში,
ზღვას მკივანი
თოლიები,
შავს და თეთრს ვერ ანსხვავებენ.
მეხის ხმაზე ჩიტებივით
უცებ დაფრთხნენ
ვარსკვლავები.



ხილვა: ევროპის მოტაცება

პონტოს ზღვისკარად ატმის ტოტივით
ჰყვავის კოლხეთი –
ცამდე მაღალი.

და მის ასულს კი იტაცებს ზევსი.
და აი, ახლა
ათასეულ წელთა მიღმიდან
მე,
ევროპეს* კივილი მესმის.

1989

* ევროპა (ყოროფა) –მეგრ.) სიყვარული.



* * *

ოქროს მთიებით შემოსარული,
მთათა გადაღმა,
სად ცის კიდეა,
ღრუბელთ ფთილები ჩანან გედებად.
მამლის ყივილი –
ბეწვზე ჰკიდია,
ფრთას ფერიას შემოჰკრავს და
გათენდება!

1968



მზის დაბნელება

თუ კაცთა მოღვმა ცოდვას
 აღარ მოინანიებს,
 იფეთქებს ჭირი,
 გამრავლდება ურჯულოება.
 მზე დაბნელდება, ფერს დაკარგავს ღამის
 ნათელი,
 ერთად ჩაქრება ვარსკვლავების
 კორიანტელი.
 და ვით პირველად,
 შეირხევიან ძალნი
 ციურნი.
 რადგან ყოველი ბოროტების გზებით
 იურვის...
 კაცთ არ ექნება არსად მიწა ფეხდასადგამი,
 მაგრამ...ძე არა!
 მამა იხსნის მოღვმას ადამის!

ჩემი გული ბუხარია

შემოჰკრავენ ფრთებით ტაშს და
გათენება უხარიათ –
ხის ტოტებზე დამსხდარ მამლებს.
მე კი შევცივინებ მნათობს.
ჩემი გული ბუხარია,
თვით იწვის და
სხვას რომ ათბობს.

2003



* * *

შუალამისას გადაჭრილი
ელვის ნაჯახით,
მთვარე თითქოს და
მორია რწყავის –
ათასეული წრიული ხაზით.
დამურებივით ვარსკვლავები
კიდია ცაზე
და ბნელის ნაცვლად,
სივრცეებს კვლავ სინათლით
რწყავენ.

1979



აბანტები და ამირანტები

წარსულიდან კვლავ მითვალთვალებენ,

– არ დაევიწყო:

თავს მობრალებენ

და ბნელში ხსოვნის სანთლებს

ანთებენ:

მაკრის¹ – მაკრონი² და

მაგრალები³,

აბანტები⁴ და ამირანტები⁵.

1969

1,2,3,4,5 – კოლხური (ქართველური) ტომები.



მარცვალი

ადამის მოღვმის წახდა ამინდი,
ოცდაათ ვერცხლად მაცხოვარი
როცა გაცვალეს...
და ასე მოდის დასაბამიდან:
ქვეყნად ყოფნა რომ აღარ გათავდეს,
მიწას სამარედ ეძებს მარცვალი,
რომ კვლავ სიცოცხლედ
ამოთავთავდეს!



ტყის სული

სიშორის ბორცვებზე დამღვარი,
ვარსკვლავთა სინათლის
სიმწვანით,
ცა, თითქოს ტყე არის მისურის.
და...

ბუხრის ყელიდან
ამოდის –
კვამლი კი არა ტყის სული.

1964



მოსუცი მელოლე

აივანზე მჯდარ მოსუც მელოლეს,
ზესთა სამყარო –
ათასჯერ აქვს ფიქრით მოვლილი.
და არის ღმერთთა თანამედროვე.
ხელში უჭირავს მთვარე –
დოლივით,
და მთელი ღამე მთვარის დოღზე
უკრავს მელოლე.

1971



შავი ზღვისკარად მდგარი ტუია

ბრძოლის ქარცეცხლზე ამხედრებულებს
ათასწლეულებს აქ ჩაუვლიათ.

რომ ჩავეჭიდო მათ ნაკვალევს
არა ჩანს ხავსი.

შავი ზღვისკარად მარტოდმარტო
მდგარი ტუია*,

არვიცი რატომ,
მე მედეას რად მივამსგავსე.

1968

* ტუია (ბერძ.) დეკორატიული ხე.



ოტარიდი და მერკური

დამით თავზე დასტრიალებს

ოტარიდი და

მერკური.

და ბედმა თუ არ უღალატა,

მზის ოქროს დილით

შეკრული –

დღე კვლავ ეცმევა ხალათად.

1979



ზედაზნის მთები

სვეტიცხოველთან მოხუცი მოვარე,
კვლავ ვარსკვლავების
კოცონზე თბება.

სადღაც ტკარცალი ისმის ალების.
და...

დეგებივით ზედაზნის მთები,
მტკვარზე ჩასულან წყლის
დასაღევიად.

1980



30

აჰა,

ოცდაათს გადავცდი,
წლებიც ელვარე ფრთებით
მიჰქრიან.

და ცივი ზამთრის გამბობ სიმკაცრით,
– მე პოეზიის ვარ ჯარისკაცი,
გენერლობაზე –
არც მიფიქრია.

1971



სელენე

ზანზარებს ცის ლურჯი
დარბაზი,
ჰორები¹ აღებენ კარებს
და ისმის: სელენე!
სელენე²!
დიდი პოეტია მთვარე
და ვარსკვლავები მსმენელნი.

1969

¹ ჰორები (ბერძ.) – ბუნების წესრიგის დამცველი ღვთაებები.

² სელენე (ბერძ.) – მთვარე, ჰიპერიონის ქალიშვილი.

ივლისი ორთაჭალაში

დგას ობელისკი,

ვითა ხსოვნა არაგველების,
ასწლეულები მის სიმაღლეს
თითს ვერო ახლებენ.

და მაჰმად-ხანის ზარბაზნები
ვერ იგრგვინებენ.

ორთაჭალაში გადმომდგარან
კლდიდან სახლები

და მკტვრის ჭავლებით –
აღმოდებულ სულს იგრილებენ.

1973



* * *

მთიების ჯარი სიშორეში
მიმოფანტულა,
ცა დარჩენილა მთვარის ამარა.
ვით ბრძოლის ველზე დახოცილები,
მიწაზე ყრია ხეთა ჩრდილები
და არავინ ჩანს მთხრელი
სამარის.


1986



ჩემო კოლხურო სახლო

მითებით გადახურულო,
დიდ და შორეულ
წარსულში –
მღგარო კოლხურო სახლო,
ვაი,
თუ ავისმდომელმა,
ჩემს მერე ხელი გახლოს!

1992



* * *

წყვიადს მირღვევს,
ხმაურში თითქოს ისმის
– მიშველეთ!
ქარმა ხეები კვლავ დაარბია...
ღიანდაგები ტიტველ-შიშველი,
დასაველეთით,
სადღაც გარბიან.

1999



* * *

ცის კაბადონზე სიფრიფანა ნისლის
მანდილით,
არ ჩანდა მთვარე –
მზის ნაქმარევი.

ნაპირთან იღვა ხე, ვით ქადაგი.

ხმაურის ცოცხით ჰგვიდნენ

ქარები –

ზღვის მტვრიან მინდორს

ასჯერ გადაგვიღს.

1981



* * *

როცა სიფრიფანა მწუხრი,
სამეგრელოს მთებს და
ბორცვებს,
ნისლის ვერცხლში შეფუთვნიდა,
მიკითხავდა დედა ლოცვებს,
ოქროდ ნაწერს
„ეფუთიდან.“*

1978

* ეფუთი – კოლხთა (ქართველთა) უძველესი წიგნი.



* * *

ჩემი ანცი დღეები,
აქ არყოფნის ტოტებზე
ხტიან,
როგორც ციყვები.
ღამეს მთვარე აბოდებს...
და ცხოვრება მიყვება
ადიდებულ სიცოცხლეს,
ვითარცა წყალს ნაფოტი.




ისევ პელაზგები

„პელაზგები ეგეოსის რ-ნის
ავტოსთონები არიან“.
(ბერძენი ისტორიკოსიო (VI ს.ჩვ.წ.ად.)

ეგეოსზე¹ და სკიროსზე²,
პელაზგები პელაზგურად
სიტყვას, ვითარც ოქროს მარცვალს,
თუკი თესდნენ, თუკი მკიდნენ,
ბერძნები, ვით იქნებოდნენ,
უკვირს ბერძენ თუკიდიდეს³.

1968

1,2 – კუნძულები ³ თუკიდიდე (ბერძ.ისტორიკოსი (V ს. ჩვ.წ.ად.)



* * *

შენ არ ხანდი...
და უშენოდ
ღღეებმა ცად გადიგრგვინეს,
ვით ლაზარე გამაცოცხლეს
ადრე მკვდარი.
ახლა შენი სიყვარული
გუღს მიგრიღებს,
ისე, როგორც თბიღისს –
მტკვარი.

1970



კირბები

„კორიბანტულ-კაბირული დამწერლობა
ჩანს პელაზგური დამწერლობა იყო“.
დიოდორე სიცილიელი.

წარსულში მსხდარ კაბირებს¹
და კორიბანტ², დაქტილებს³
მოეუხმობ და კოლხურ ცას,
კვლავ კოლხურად ვატირებ.
რადგანაც ჩემს „ფსალმუნებს“
სხვა გემო და ფერი აქვს,
მიტომაა ისტორიის ქვესკნელში
რომ დავეძებ –
კირბებს, ვით კოლხ ფერიას.

1962

1,2,3. – კოლხი ქურუმები
4. კირბები – უძველესი კოლხური (ქართული) წიგნები.

* * *

ჩემის სარკმელში იხედება
ელვის ეშმა პაწაწინა,
სუსტი და მიამიტი.
სველ თითებით უკრავს წვიმა,
კვლავიშებზე –
ჩემს კრამიტის.

1958



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ5

*** (აღსავლდან-დასავლით).....25

ვარსკვლავთცვენა26

*** (იდუმალმა ხილვებმა).....27

*** (ჩემი თვალები).....28

*** (ქარავანი ქედების).....29

მზერა.....30

*** (მწუხრის ყურსაღარებმა).....31

*** („ვინც წარსულში გარდაიცვალა
მარადიულია“).....32

*** (მეხთა-ტეხამ გადახერხა).....33

*** (ღამის ფსკერიდან და სიშორიდან)..34

*** (ცხრა მთით გარდმოსვეწილი).....35

*** (ნისლის თხელი პერანგი).....36

* * * უზენაესის შიშით მოცული.....37

* * * დავიწყების დანისლულ
მთებიდან38

პანდორას ყუთი.....39

* * * ვით დავითმა „ფსალმუნებით“.....40

* * * სადღაც41

კ ო რ ი ბ ა ნ ტ ე ბ ი.....	42
რ ა ტ ო მ?!	43
* * * გადის ათასწლეული.....	44
ხილვა: სოლომონის ტაძარი.....	45
კ ო ლ ი ზ ე უ მ ი.....	46
* * * თვალებს მზეს არ აცილებს.....	47
* * * ლოცვითა და ვედრებით.....	48
* * * არც ბუდა ჩანს.....	49
ხილვა: მგზავრობა გალილეას.....	50
* * * კოლხთა წარსულს კარს ვუღებ	51
* * * სიხარულით მოყვავილე.....	52
დავით მეფესაღმუნე.....	53
ხილვა: ნათლობა იორდანეში.....	54
* * * შენ სახელს ნათლად ჩამორეკავენ.....	55
მზის ჩასვლა.....	56
* * * ზოგს აღარ ეყო ერთი სიცოცხლე.....	57
* * * ჩასძინებია არესის ჭაღას.....	58
* * * ჯოჯოხეთში მიმავალი.....	59
* * * ჩემმა გამჩენმა დაბადებიდან.....	60
* * * მოულოდნელად ჩამოწვა ბინდი.....	61
* * * სააქაოში მარად დარჩენის.....	62
* * * კოლხებს.....	63
* * * გელით კი არა.....	64
* * * სახეზე ნისლის ჩადრს იფარებენ.....	65
* * * მამა ადგომას მზეს სულ ასწრებდა...66	

* * * მთელი დღე ნარბენთ.....	67
* * * ავი სულები სხედან წკვარიამში.....	68
* * * ღელე სადღაც მიიჩქარის.....	69
* * * მზით გასანთლული რწმენის თოკებით.....	70
* * * ქარის ხოპებით რომ მიაპობს.....	71
იოანე ხუცესი.....	72
კურეტებს და კორიბანტებს.....	73
* * * რწმენის ნისლით მოსიღმა.....	74
ქრისტეს ინიციაციებს.....	75
* * * ქართლის დიდი წარსული კი.....	76
* * * ასე იყო.....	77
მტკვარი ზამთარში.....	78
ისევ ქაღდვა.....	79
ხილვა – ბაბილონი.....	80
* * * ათა-ბაბადან ასე ყოფილა.....	81
ვარსკვლავიანი ღამე.....	82
* * * წინაპრის თვალთაგან მოვა შუქი.....	83
* * * კლდეებს გამოქცეულები.....	84
კოლხა 5185-5120.....	85
გრაალის ბარძიმი.....	86
* * * გადაიარა.....	87
კიბელას და კოპალეს.....	88
* * * მოვლენ ანგელოზები.....	89
* * * ცისქვეშ ათასწლეულები.....	90

* * * ჩემმა კოლხმა წინაპრებმა.....	91
* * * ყოფნა.....	92
* * * ღამის ტოტზე ყორნებივით.....	93
* * * მეცხრე ცაში ბინადრობენ.....	94
კოლხეთი – 7000.....	95
* * * ცხოვრება ჯოჯოხეთია.....	96
* * * რომ გვეკლავს სურვილი.....	97
ევბეაზე.....	98
პირველი ქრისტიანი.....	99
* * * დაბადებიდან.....	100
* * * მე.....	101
ორი მტერი.....	102
ხილვა: სიონის მთა.....	103
* * * ქარი ქარობას არ იშლის.....	104
მიქაელ მთავარანგელოზი.....	105
* * * ხმელეთზე ბრაზით ზღვა ამოსულა...106	
ამბობს ეკლესიასტე.....	107
პელაზგები და ხეთები.....	108
ღ რ უ ბ ლ ე ბ ი.....	109
* * * წინაპრებმა დაგიბარეს.....	110
* * * გარდასულთა შფოთავს ქარი.....	111
* * * რა ვუყოთ.....	112
ასე იქნება ვაჟა ეგრისელ.....	113
ხ ს ო ვ ნ ა.....	114
უფლის ნაწერი წერილი.....	115

* * * ღამე ნისლებს მიაბოლებს.....	116
ხალხური პოეზიის კითხვისას	117
* * * უნდა მოედოს მათა მწვერვალებს ...	118
ბაბილონი – ძვ.წ. 529	119
* * * ისე როგორც	120
ხილვა: სამოთხის ხე.....	121
* * * შორეულ ღამიდან მოსული	122
ვარსკვლავების სერობა.....	123
* * * საქართველოს ცით გადახურული	124
ვარხების გადაფრენა.....	125
ბაბილონის გოდოლი.....	126
* * * ცნობადის ხეთა ფესვები	127
* * * მეტეორების გამოქროლება.....	128
* * * საქართველო	129
ხ ე ე ბ ი.....	130
* * * არესისა და პარას ჭალაში.....	131
* * * წამით რაა.....	132
* * * კუბოებია	133
რეა-კიბელა	134
* * * მზის ბაჯალლო ტახტი უდგას.....	135
შ ო შ ი ე ბ ი.....	136
* * * ნაფეხურები მზის რომ წაშალონ.....	137
ჭინჭილა და ყარყარა.....	138
* * * ქარები, ვითა ძიძები.....	139
ღეღა თავის ბავშვის საფლავთან.....	140

* * *	მშობლიურ ცის სილაჟვარდეს.....	141
* * *	ღამეს მთოვარე თევზის ფხასავით.....	142
* * *	თავს დაჰკიოდნენ ალბატროსები.....	143
	აფხაზეთი – 1992.....	144
	პელაზგებს და ქაღდეველებს.....	145
* * *	კვლავ ქათქათებენ ღრუბლების მთები	146
* * *	კლავდნენ და გულში მახვილს.....	147
	შურდული და ოქროს ქნარი.....	148
	მ ა ნ დ ა ლ ა.....	149
	ვაი, ნანა!.....	150
	შემოდგომა ნოსტეში.....	151
	ბრმა ჯოხით	152
* * *	პოეტო.....	153
	საინგილოს, ქსანს და ხერთვისს.....	154
* * *	სახეშემღილი.....	155
	ხილვა: 33 მილიონი ქართველი.....	156
* * *	გამთენიისას, როცა მყინვარმა.....	157
* * *	ცად განსახლებულ პლანეტებს.....	158
* * *	ოცდაათოხმეტი საუკუნეა.....	159
* * *	ვითარც სახე სიკეთის.....	160
* * *	ვაჟას ფშავის ბუნება	161
* * *	აგვისტოა.....	162
* * *	კოსმიური ჩემი ფიქრი.....	163
* * *	ისტორიის დიდ მინდორზე.....	164
* * *	მზე ჩადის და ზღვისკარად	165

* * *	თენდება!.....	166										
* * *	მეხის ძახილზე დაიმსხვრევა.....	167										
* * *	იყავი ექვსის.....	168										
* * *	მთათა პიტალო ქვას გახეთქავდა	169										
* * *	დღეები მუდამ ბნელს გვარიდებენ.....	170										
* * *	შორით რომ ისმის	171										
* * *	იმ პლანეტებზე	172										
თ	ო	რ	შ	ი	173						
* * *	ლამით მთვარე მიმიძლოდა.....	174										
* * *	მზესავით დიდი და ჩაუქრალი	175										
* * *	ათას ჭირ-ვარამ გადანაყარი	176										
გ	უ	ლ	წ	ი	თ	ე	ლ	ე	ბ	ი	177
* * *	მზით გათანგულებს თეთრი დღეები .	178										
* * *	როს გაიგებს მამლის ყივილს.....	179										
* * *	გადმოიარეს მთები და	180										
* * *	ფიქრში ვხედავ.....	181										
* * *	ელვის თოკებით ერთად შეკრული.....	182										
* * *	რომ ცბიერია წუთისოფელი.....	183										
* * *	მზეო და მთვარევ!.....	184										
* * *	ერთი არა.....	185										
ნოჯიხევის	საყდარი.....	186										
ქარიშხალი	ლამით	187										
ქრისტეს	ბავშვობა	188										
* * *	მარადიულ იმ სოფლიდან	189										
* * *	კოლხური ცისქვეშ ღამენათევი	190										

* * *	ვალენთობდი ცრემლთა სანთლებს	191
* * *	გაიელვებს წამს წარსული	192
* * *	მამა ღმერთი.....	193
	აპრილის მზე.....	194
	მთვარის არსი.....	195
* * *	რადგან წუთისოფლის ქვაბში.....	196
	ვასაკები.....	197
* * *	შორს რომ მოჩანს დარჩელია.....	198
* * *	ზმანებებით კი არადა.....	199
* * *	უცებ მოვარდნილი ქარი	200
* * *	გადაუვლიათ ათასწლეულებს.. ..	201
* * *	შორი სიხუმით შემობურვილი.....	202
	კაცი – ლეგენდა.....	203
	ბუნების ენა.....	204
	რეა-კიბელეს ქურუმები	205
* * *	ვაჟას მაღალ ქედებიდან.....	206
* * *	ვთქვათ და ოდესმე ჩვენ კოლხ.....	207
	ეს მთები	208
* * *	გაფანტულან წლები ჭავლად	209
* * *	ფეხშიშველი ელვა ისევ	210
	უ კ მ ა რ ი ს ო ბ ა.....	211
* * *	ვით ბერდელა.....	212
	საწუთრო	213
* * *	შესციცინებენ ქართვლის ცას	
	ქედები.....	214

* * *	ფიქრი.....	215
* * *	ქარიშხალთან ბრძოლით დაღლილს..	216
* * *	უსაზღვროების ღამის წყვილადში.....	217
* * *	რალაქნას.....	218
	ქართული ზღაპრების კითხვისას.....	219
	დრო – ქურდი	220
* * *	ღღის გათენება გვიხარია.....	221
	კოლხური–ოქრომრავალი ქვეყანა.....	222
* * *	მარადისობის ძეგლად დამდგარი.....	223
* * *	სხვა რწმენით და იმედით	224
* * *	ვითარცა დანტე ალიგიერმა	225
* * *	ხობის წყლის პირას.....	226
* * *	მწუხრია და ცის ფერებში.....	227
	ხილვა: ევროპის მოტაცება.....	228
* * *	ოქროს მთიებით შემოსარული	229
	მზის დაბნელება.....	230
	ჩემი გული ბუხარია.....	231
* * *	შუადამისას გადაჭრილი.....	232
	აბანტები და ამირანტები.....	233
	მარცვალი.....	234
	ტყის სული.....	235
	მოხუცი მედოლე.....	236
	შავი ზღვისკარად მდგარი ტუია	237
	ოტარიდი და მერკური.....	238
	ზედაზნის მთები.....	239

30	240
სელენე.....	241
იელისი ორთაჭალაში.....	242
* * * მთიების ჯარი სიშორეში	243
ჩემო კოლხურო სახლო.....	244
* * * წყვლიადს მირღვევს.....	245
* * * ცის კაბადონზე სიფრიფანა ნისლის.	246
* * * როცა სიფრიფანა მწუსრი.....	247
* * * ჩემი ანცი დღეები	248
ისევ პელაზგები	249
* * * შენ არ ჩანდი.....	250
კირბები.....	251
* * * ჩემს სარკმელში იხედება	252

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 82

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 82

გამომცემლობის

რედაქტორი

– მზია აკოზია

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი შუშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუშუბაძე

კორექტორი

– იზოლდა პერტია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. შოთაბრძოლვის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com